წელიწადი პირველი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

# კომუნისტი

თბილისი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, № 4. ტელეფონები: საერთო—დღისა 14—76. სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

ხუთშაბათი, 21 აპრილი, 1921 წ.

№ 41 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 41

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობანი.

საბჭოთა რუსეთის წინაამდეგ მებრძოლ კოალიციაში საფრანგეთს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა და უჭირავს დღესაც. თუ დიდი ბრიტანეთი თავის მსოფლიო გავლენით წარმოადგენდა უმთავრეს ძალას ამ კოალიციაში, საფრანგეთი იყო ყველაზე უფრო შეურიგებელი და დაჟინებით რუსეთისადმი შეუპოვარი მტრული პოლიტიკის გამტარებელი, რომელიც ხშირათ გადამწყვეტ გავლენას ახდენდა თავის მოკავშირის დამოკიდებულებაზე საბჭოთა მთავრობისადმი. ამას, რასაკვირველია, თავის ასახსნელი მიზეზები აქვს. ერთი უმთავრესთაგანი არის ის, რომ მილიარდები, რომლებიც ყველა ქვეყნებზე უფრო ხელგაშლით მოათავსა საფრანგეთის ბანკებმა და რესპუბლიკანურმა მთავრობამ რუსეთში სხვადასხვა წარმოებაში და თვითმპყრობელობის გასამაგრებლათ, ეკუთვნოდენ თავის მნიშვნელოვან ნაწილში მაინც ამ ბანკების წვრილ მესხებლებს, რომლებიც ასე მრავლათ არიან წვრილ და საშუალო სასოფლო მეურნეობის ქვეყანაში. რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციამ გააუქმა მონარქიის ვალდებულებანი და აუარებელი მილიარდები რუსეთში სესხის სახით ჩაყრილი, გადაუხდელი რჩება.

ეს იყო ერთი უმთავრესი მიზეზი იმ აშკარა შეურიგებელი მტრული დამოკიდებულების, რომელიც დამახასიათებელია საფრანგეთის ბურჟუაზიის ფართო წრეებისათვის საბჭოთა რუსეთის მიმართ და ამ პოლიტიკის შეურყეველი გამომხატველი იყო მთავრობაც—მონამორჩილი რუსეთის რევოლიუციის გამო დაზარალებით „შეურაცხყოფილი“ და აღშფოთებული წრეების.

ოთხი წლის სასტიკი ბრძოლის შემდეგ დასავლეთ ევროპის ბურჟუაზია დარწმუნდა იმაში, რომ შეიარაღებული ხელით თავის ინტერესების უზრუნველყოფა გარდა რევოლიუციონური მთავრობის კიდევ უფრო გამაგრებისა, რადგან ამ შემთხვევაში ის იკრებს თავის ირგვლივ ფაქტიურათ უცხოელების მიერ შესაძლებელ დამონების შიშ ქვეშ მყოფ მთელ ერს. მით უმეტეს, რომ ეს დამონება ევლინება მას ძველი თვითმპყრობელობის რესტავრაციის ფორმით. ეკონომიურმა ბლოკადამ, რომელიც მათ შემოარტყეს რუსეთს, ვერ იქონია ამ ქვეყნის სივრცისა და გეოგრაფიული მდგომარეობის გამო რევოლიუციისათვის ის დამღუპველი შედეგები, რომლის მოუთმენელ მოლოდინში იყვნენ იმპერიალისტები. პირიქით, ბურჟუაზიის ხელმძღვანელ წრეებში სადავოდ არის გამხდარი კითხვა იმის შესახებ, თუ რომელი მხარე უფრო მწვავეთ გრძნობდა ამ ზომებს: რუსეთი თუ თვით ბურჟუაზიული ევროპა და სრულიად ობიექტიურ სიმართლეს გამოსთქვამდა გაზ. „დეილი ნიუს“-ის რედაქტორი, რომელიც მათი წრის მოღვაწეების ხანდახან დამახასიათებელი გულახდილობით ამბობდა, რომ ფაქტიურათ მთელ დასავლეთ ევროპას აქვს გამოცხადებული ბლოკადა, პირიქით საბჭოთა რუსეთის მიერ და მთელი ეკონომიური ცხოვრება იხუთება მის რკალში.

ყველაზე ადრე ინგლისის დღევანდელმა ბატონ-პატრონებმა შეიგნეს ეს ჭეშმარიტება და გამოიყვანეს კიდევაც ამ შეგნებიდან სათანადო პრაქტიკული დასკვნები. დიდი ხნის რყევის შემდეგ მათ ხელი მოაწერეს სავაჭრო ხელშეკრულებას რუსეთთან. მწვავე ეკონომიურმა კრიზისმა, ვაჭრობა-მრეწველობის შეჩერებამ და მით გამოწვეულმა უმუშევრობამ, რომელმაც მილიონებიანი არმია შექმნა კუნძულზე და დაღუპვით უქადის მთელს სახელმწიფოს, აიძულა ლოიდ-ჯორჯის მთავრობა გადაედგა ეს ნაბიჯი.

სწორედ იგივე მიზეზები და ბურჟუაზიული ანგარიში აიძულებს დღეს საბჭოთა რუსეთის გაავთრებულ მტერსაც, საფრანგეთს, წავიდეს თავის მოკავშირის გზით, შეეგუოს მისი ნებისყოფის გარეშე და წინააღმდეგ შექმნილ მდგომარეობას ამოსწუროს იქიდან ის შესაძლებლობანი, რომელსაც მისცემს მის აწეწილ-დაწეწილ ეკონომიურ ცხოვრებას თვალუწვდენელი მდიდარი რუსეთი თუ გინდ მისი დღევანდელი სახითაც.

ამით არის ნაკარნახევი ის აზრი, რომელიც გამოსთქვა საფრანგეთის მთავრობაში ფინანსთა მინისტრმა. ჩვენ არ ვსცნობთ საბჭოთა რუსეთს, მარა მეორე მხრით არ ვიტყოდით უარს მასთან სავაჭრო ხელშეკრულების დადებაზე, როგორც ეს მოახდინა ჩვენმა მოკავშირე ინგლისმა. ჩვენ გვჭირდება რუსეთი ისე, როგორც ჩვენ ვჭირდებით მას. მინისტრი არ მალავს რა წინააღმდეგობაში შეუძლია ჩავარდეს ოფიციალური საფრანგეთი, თუ ის დასდებს სავაჭრო ხელშეკრულებას რუსეთთან და არ იცნობს იმავე დროს მის საბჭოთა რეჟიმს. ეს იქნებოდა მისი აზრით არა საკადრისი საფრანგეთის ხალხისთვის, რომლის სახელით ის ბედავს დღეს ლაპარაკს.

გარკვეული დადებითი გადაწყვეტილება საკითხის, რომელიც წამოაყენა მთავრობაში მისმა გავლენიანმა წევრმა, ჯერ კიდევ არ მომხდარა. მიუხედავათ ამისა, ლაპარაკსაც არა მარტო სავაჭრო ხელშეკრულების, არამედ თვით საბჭოთა რეჟიმის ცნობის შესახებ, საერთაშორისო რეაქციის უმნიშვნელოვანეს ბუდეში, ბრიანის მთავრობაში, ჩვენ ვუყურებთ, როგორც ერთ მორიგ გამარჯვებას ჩვენი რუსეთის ამხანაგებისას და სასტიკ დამარცხებას რუსეთის რევოლიუციის ყველაზე უფრო „ჯიუტ“ მტრისას, რომელიც თავის სიტყვით აღიარებს ამ დამარცხებას.

ეჭვს გარეშეა, დაწყებული კურსი გამოხატავს ფართე მასების სულის კვეთებას, რომლის გავრცელებას საფრანგეთში ხელს უწყობენ ჩვენი ძმური პარტია და რევოლიუციონური სინდიკატები. ის მუშაობა, რომელიც სწარმოებს იქაც კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ, კიდევ უფრო გაძლიერდება მომავალში და უკვე მიღწეულ გამარჯვებებიდან კიდევ ახალი გამარჯვებებისკენ წაიყვანს, როგორც პარტიულს, ისე პროფესიონალურ ორგანიზაციებს საფრანგეთის პროლეტარიატისას. მისი ძლევამოსილი მსვლელობით და გავლენის გაფართოებით არის გამოწვეული ახალი მიდრეკილება საბჭოთა რუსეთთან ნორმალურ ურთიერთობის აღდგენისკენ იმ წრეების მხრივ, რომლებსაც ყველა საბუთი აქვთ უყურონ და უყურებენ კიდევაც კომუნისტურ ინტერნაციონალს, როგორც თავის მოსისხლე მტერს. საფრანგეთის პროლეტარიატი და ღარიბი გლეხკაცობა რევოლიუციონური რუსეთის გავლენითა და დახმარებით ბოლომდი მიიტანს თავის დღევანდელ ბატონებზე გამარჯვების დროშას.

## ეკლესიის სახელმწიფოსგან ჩამოშორება

მენშევიკებმა თავის ბატონობის სამი წლის განმავლობაში ვერ შესძლეს სახელმწიფოსაგან ეკლესიის ჩამოშორების და სკოლაში სარწმუნოების გავლენის მოსპობის საქმის მოგვარება. ეკლესია ძველებურად სახელმწიფოებრივ უფლება-მოსილ ორგანიზაციად ითვლებოდა და ხაზინიდანაც ღებულობდა დახმარებას. ეკლესიებს და მონასტრებს შერჩენილი ჰქონდათ საუკუნოებით დაგროვილი სახალხო ქონება, რომელიც დაუზოგველად იფლანგებოდა სასულიერო პირების მიერ მათი წოდებრივი და პირადი საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. სკოლაში სამღვთო სჯულის სწავლება მხოლოდ არა სავალდებულოდ, მაგრამ მაინც ნებადართულად გამოაცხადეს; ასე რომ არ იყო მოსპობილი შესაძლებლობა გაუგებარ, გამოუსადეგარ და კლერიკალურ აზროვნების გავრცელებისა სკოლის საშუალებით; ფაქტიურად მრავალ სკოლებში საეკლესიო საგნები ისწავლებოდა და მასწავლებლებადაც მღვდლები იყვნენ. ასეთ არა ნორმალობას ერთბაშად ელება ბოლო რევკომის დეკრეტით, რომელიც გამოქვეყნებულია ჩვენი გაზეთის გუშინდელს ნომერში. სარწმუნოება კერძო, სინდისის საქმედაა აღიარებული, ეკლესია ჩამოშორებულია სახელმწიფოსაგან, აქამდე მის განკარგულებაში მყოფი ქონება ხალხის კუთვნილებადაა გამოცხადებული, ხოლო სკოლიდან სავსებით განდევნილია სარწმუნოებრივ საეკლესიო ელემენტები. ეჭვი არ არი, რომ საბჭოთა ხელისუფლების მტერნი ამ დეკრეტს ტენდენციურად გააშუქებენ, გამოიყენებენ საagitაციოდ ხალხის იმ წრეებში, რომელნიც კულტურული ჩამორჩენილების გამო, ჯერ კიდევ სავსებით ვერ განთავისუფლებულან რელიგიურ წარმოდგენებისა და ამგვარივე სულიერ განწყობილებისაგან. მაგრამ რევოლიუციონური მთავრობა რკინის ხელით დასაწყისშივე ალკვეთს პროვოკაციული მიზნით წარმოებულ მოსალოდნელ გამოსვლებს; ამასთანავე სათანადო პროპაგანდის საშუალებით განუმარტავს ხალხს დეკრეტის ნამდვილ შინაარს, რომელშიაც საკმაო გარკვეულობითაა აღნიშნული, რომ ამა თუ იმ სარწმუნოების აღიარება როგორც კერძო საქმე, ხელუხლებელია. ® მასთან, აგრეთვე სარწმუნოების უარყოფასთანაც, არ არის დაკავშირებული არავითარი უფლებრივი ® ნივთიერი შეზღუდვა თუ უპირატესობა. მთავარი საქმე კი ის არის, რომ, სხვა და სხვა ცრუმორწმუნოების ნაცვლად, ხალხში გავრცელებულ იქნეს საღი, საბუნებისმეტყველო ცოდნა და მეცნიერული შეხედულობანი. და უნდა ითქვას, ჩვენში საკმაო ნიადაგია ასეთი კულტურული მუშაობის საწარმოებლად. ჩვენი ხალხის უმრავლესობა არასოდეს არ ყოფილა ვიწრო რელიგიური ფანატიზმით გამსჭვალული, იგი უფრო რეალისტური მსოფლმხედველობის და ინტერესების მატარებელია, ვინემ მისტიური გრძნობით და საიმქვეყნო იდეალებით გატაცებული. ამით აიხსნება ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ჩვენში სარწმუნოებრივ ბრძოლას და განხეთქილებას ძველადაც არ ქონია ადგილი, ბოლო ხანებში კი რელიგიურმა ინდიფერენტიზმმა ფართო მასსებში უფრო ღრმად გაიდგა ფესვები. სახალხო განათლების მიზანია დაახქაროს ხალხში ჭეშმარიტი, საერო ცოდნის გავრცელება. ამას დიდათ შეუწყობს ხელს ხსენებულ დეკრეტის ცხოვრებაში საჭირო სისწრაფით და სავსებით გატარება.

კან.

## საბჭოთა რუსეთის პრესა

### კრაპოტკინის აზრი კომუნისტების შესახებ.

ბერლინში გამოსულ გაზ. „ნოვი მირ“-ის მე-17-ე ნომერში მოთავსებულია წერილი ს. მუსინისა. მას ამ წერილში მოჰყავს ნაწყვეტები იმ წერილებიდან, რომელიც მას მიუღია სხვადასხვა დროს, ეხლახან გარდაცვლილ პ. ა. კრაპოტკინისაგან. ამ ნაწყვეტებიდან სჩანს, თუ როგორი აზრისა იყო ეს უდიდესი ჩვენი დროის ანარქისტი კომუნისტებზე და პროლეტარულ რევოლიუციის მსვლელობაზე. მოგვყავს აქ ეს ნაწყვეტები.

1918 წლ. დეკემბერში კრაპოტკინი სწერდა:

„მართალი უნდა სთქვას კაცმა, კომუნისტები—ნამდვილი სოციალისტები არიან. იმათ პრაქტიკით დაამტკიცეს სოციალურ რევოლიუციის მუშათა კლასის კაპიტალის ბატონობიდან განთავისუფლების „შესაძლებლობა“.

1919 წლ. იანვრის წერილში ის სწერს:

„სოციალ-დემოკრატები, მართალია, ოცნებობდენ სოციალისტურ რევოლიუციაზე, მაგრამ, ისინი შორეულ დროისთვის სდებდენ. მათ სულ მუდამ ეჩვენებოდათ, რომ ხალხი საამისოდ ჯერ მომწიფებული არაა. ბოლშევიკებმა კი გაითვალისწინეს რა, განვითარების მსვლელობა უკუაგდეს სოციალიზმით თამაში და სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ. ამაში გამოიხატება მათი დიდი დამსახურება“.

კიდევ ერთ წერილში, კრაპოტკინი იწერება:

„ბოლშევიკები ისახავდენ მუდამ იმ მიზნებს, რომლისკენაც ისწრაფვიან მშრომელთავის ყველა თავდადებული მებრძოლები.

ყველა, ვისთვისაც ძვირფასია რევოლიუცია, მოვალეა დაუყონებლივ მიეშველოს რუს რევოლიუციონერებს და მიიღოს მონაწილეობა მათ თავგანწირულ ბრძოლაში.

სულითა ვწუხვარ, რომ მე მოხუცებულობისა და სისუსტის გამო, არ შემიძლიან აქტიური მონაწილეობა მივიღო რუსეთის რევოლიუციაში“.

ს. მუსინს მოჰყავს აგრეთვე შემდეგი სიტყვები, წარმოთქმული პ. ა. კრაპოტკინის მიერ ამხ. ლენინთან შეხვედრის შემდეგ:

„უნდა გამოვტყდე, რომ მეძლიერ მოხარულივარ ვლადიმერ ილიას ძის შეხვედრით. ესაა ადამიანი, რომელიც ახხიერებს თავის პიროვნებაში ყველა ღირსებას რევოლიუციონურ ბელადისას. მისმა შეურყეველმა რწმენამ თავის სიმართლის სიძლიერეში, გამამხნევა. მე მწამს, მტკიცედა მწამს, რომ მის მიერ დაწყებული საქმე მიზანს მიაღწევს“.

1919 წ. ზაფხულს ს. მუსინმა წინადადება მისცა პ. ა. კრაპოტკინს გამგზავრებულიყო ავათმყოფობის გამო საზღვარ გარეთ. ამაზე, კრაპოტკინმა უპასუხა:

— „არა, ძვირფასო, არ წავალ. მთელი ჩემი სიცოცხლე ვოცნებობდი რევოლიუციონურ რუსეთში მეცხოვრა. ჩემი ოცნება განხორციელდა მოხუცებულობის დროს, მომეცით მაშ საშუალება მოსვენებით ვიცხოვრო და ვიხილო ახალ ცხოვრების განთიადი („პრავდა“).

ნ. მეშჩერიაკოვი.

## რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-10 ყრილობა

დილის სხდომა

10 მარტი.

**კრასიკოვი.** ამხანაგებო! ის საკითხი, რომელშიაც შესწორება შეაქვს მოსკოვის კონფერენციას, რომელიც შემოტანილია ჩვენგან და შემდეგში გამოქვეყნებულ იქნება, ეხება მეტად მტკივნეულ ჩვენს წვრილ ბურჟუაზიულ ქვეყანაში—სარწმუნოების საკითხს. სარწმუნოების საკითხს რუსეთში, როგორც მოგეხსენებათ, ამხანაგებო, დიდი მნიშვნელობა აქვს, მიუხედავად ამისა ეს ასე ვთქვათ, სარწმუნოებრივი ფრონტი დღემდე ჩვენ ცოტა არ იყოს მივიწყებული გვქონდა. ყველა ჩვენი ადგილობრივი ორგანიზაციები, აწარმოებდენ ამ მხრივ არადამწყობრ აგიტაციას და პროპაგანდას. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ არ გვაქვს განსაზღვრული დაწესებულებანი, რომელთაც უნდა ეტვირთა ფრიად მნიშვნელობის საკითხის მოგვარება. თქვენ იცით თუ არა, ამხანაგებო, რომ იუსტიციის კომისარიატში მოგვეპოვება ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფის, მერვე განყოფილება? ეს განყოფილება იყო უმეტეს ნაწილად დაინტერესებული ამ საკითხით, უმეტეს ნაწილად გაჰყავთ ის დეკრეტი, სახელმწიფოდან ეკლესიის გამოყოფისა; ეს განყოფილება აძლევდა მიმართულებას პრაქტიკულ პოლიტიკას, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენ უნდა გამოგიტყდეთ, რომ ანტისარწმუნოებრივი პროპაგანდა, ეს მის პირდაპირ მიზანს არ შეადგენს. იგი სცემს მხოლოდ ჟურნალს „რევოლიუცია და ეკლესია“, რომლის ტირაჟიც უწევს 40 ათას ეგზემპლიარს. ეს რიცხვი კი ჩვენი ქვეყნისათვის, ძალიან მცირეა, თუ თქვენც დამეთანხმებით. უმრავლესობა ჩვენი კომიტეტებისა—მე არას ვიტყვი ჩვენ წვრილ ორგანიზაციებზე,—არ იღებენ ამ ჟურნალს და არც იციან არსებობა ამ ლიტერატურისა. ადგილობრივი ორგანოები, სრულიად უკანა რიგში აყენებენ ამ საკითხს და ამნაირად, ამხანაგებო, უდიდესი დეფექტი აქედან გამომდინარეობს. მიუხედავად ამისა ეს წვრილი ბურჟუაზიული სტიქია, რომელიც ამჟამად პირს გვიჩვენებს, იგი, რასაკვირველია ეძებს თვის იდეოლოგიას, თვის პოლიტიკას და ცხოვრების პრაქტიკას. მერე სად პოულობს ადგილს? რასაკვირველია სოფლად, გლეხკაცობაში, სადაც გლეხობა ეძებს და პოულობს თვისთვის ხელმძღვანელობას, სახელდობრ ან ძველ, ან ცოტათ განახლებულ გლეხ-ხუცესურ, ბაპტისტურ, სექტანტურ და სხვ. იდეოლოგიაში.

აქ ერთმა ამხანაგმა სთქვა, რომ სამარაში მათ მუშათა ოპოზიცია ჰყავთ. მე კი უპასუხებ მას, რომ იქ, იმ სამარის გუბერნიაში აყვავებულია არამც თუ მუშათა ოპოზიცია, არამედ ტოლსტოის ბაპტისტების, ანაბაფტისტური და სხვ. სექტებიც. აი მაგალითად სამარის სამხედრო ცენზურა ნებართავს იმნაირ პროკლამაციებს და ისეთ გამოცემებს, რომელიც მე ამჟამად ხელთა მაქვს: „რა არის ჭეშმარიტი თავისუფლება“; „ეს არის სარწმუნოებრივი პოლიტიკური ანარქისტული პროგრამა“. ეს პროგრამა ასიათას ცალობით ვრცელდება რუსეთში. ეს სარწმუნოებრივი პროგრამები მთელ წყება ქსელებით და კავშირებით ყველგან შეკრულია. თუ თქვენ ამ პროგრამებს გულდასმით ჩაუკვირდებით, დაინახავთ რომ აქ, სარწმუნოება უშუალოდ ეყრდნობა პოლიტიკასა და ეკონომიკას. ეს არის ანარქისტული ორგანიზაცია, რომელსაც მიზნად აქვს შექმნას თავის განცალკევებული ეკონომიური ორგანიზაცია. აქ კომუნისტურ პარტიამ დაგვავალა სასტიკ ყურადღებით და გაბედულად თვალი ვადევნოთ იმას, რომ პოლიტიკური და ეკონომიური ხელმძღვანელობა ჩვენ არ გაგვისხლტეს ხელიდან. ჩვენ ეს საკითხი უნდა პირველ რიგში ჩავაყენოთ. აი რატომ მგონია, რომ პოლიტიკური განმანათლებელი განყოფილება, რომელიც პარტიულ ორგანიზაციებთან მჭიდროთ არიან დაკავშირებული, ამავე პარტიულ ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, ყურადღებას მიაქცევს, ნამდვილად, ამ ანტი-სარწმუნოებრივ აგიტაციის და პროპაგანდის საქმის დაყენებას: აბა ერთი შეხედეთ რა ხდება ჩვენს გარშემო სუყველგან. იმ მასალების და საბუთების მიხედვით, რომელსაც ჩვენი ორგანიზაციები იღებენ ჩვენ ვტყობილობთ, და ეს ცხადათა სჩანს კიდეც, რომ მთელი ჩვენი ბურჟუაზიული ინტელეგენცია: ვექილები, პროფესორები, ყოფილი სტუდენტობა, ინჟენრობა, კურსისტები და სხვ. ყველა ესენი ეწერებიან ამ მორწმუნეთა რიცხვში და ხელს უწერენ იმ ხელშეკრულებებს, რის ძალითაც ტაძრებს ისინი თვის გამგებლობის ქვეშ იღებენ. ყოველნაირ ჯურის „ყოფილ ადამიანთა“ მკლავაძეები და ელემენტები ეხლა ყველაზე უფრო მეტ მორწმუნე ხალხად გადიქცენ, რომელნიც გარკვეულ აგიტაციასა და პროპაგანდას აწარმოებენ. ამ აგიტაციამ და პროპაგანდამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ ეს ყველა ეს ელემენტები შეაკავშირა შეერთებულ საბჭოს, ჯგუფის და სარწმუნოებრივ თემების სახით მთავარი მათი ცენტრი იმყოფება მოსკოვს, ქსელები ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეებში. ხდება ყრილობები მიზანშეწონილ განსაზღვრულ პოლიტიკურ განზრახვებით და სარწმუნოების სახის და დროშის ქვეშ. ბალაკოვსა და პსკოვში ახდენენ ყრილობებს, რომელზედაც არჩევენ საერთო პოლიტიკურ და ეკონომიურ ხასიათის საკითხებს. მაგალითად „სასოფლო სამეურნეო არტელები და თემები“, „დამოკიდებულება თანამედროვე ამბებთან“, „ღარიბთა და მშიერთა დამხმარე მისსიები“, „დამოკიდებულება საზღვარ-გარეთთან“ და სხვა საპროგრამო პუნქტები. აი აქაც მოსკოვში 15 მარტისათვის დანიშნულია სრულიად რუსეთის სექტანთა ყრილობა. აქაც დასმულია ამგვარი საკითხები: საკითხი ყველა კომუნების ცხოვრებისა, დაარსება შემაკავშირებელ ორგანოსი, საზღვარ-გარეთთან ურთიერთობის დაჭერა, დაბრუნება მობილიზაციით გაყვანილ წევრებისა და სხვა. თქვენ ხედავთ რომ ეს წვრილი ბურჟუაზიული სტიქია, ცხადად იროზმება სარწმუნოებრივ დროშის ქვეშ. მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ჩვენი ტაქტიკა სარწმუნოებრივ საკითხებში მეტად ფრთხილად უნდა იქმნეს წარმოებული და არ გაალიზიანოს სრულებით გამოუსადეგარი სარწმუნოებრივი ფანატიზმი, მაინც და მაინც განსაზღვრულ მომენტში ჩვენ უნდა მტკიცედ განვაცხადოთ რომ „სარწმუნოება—ერთია, პოლიტიკა და ეკონომიკა კი—სულ სხვაა“ და სუყველგან ჩვენ ეს ორი მომენტი ნათლათ უნდა გამოვყოთ ხოლმე ერთი მეორისაგან. ამასთან ერთად პოლიტიკურ განმანათლებელ განყოფილებას ჩვენ უნდა დავაკისროთ მეორე უმთავრესი, ამ საკითხთან დაკავშირებული მიზანი, რომლის განხორციელებაც დღემდე, ზოგიერთი მიზეზთა წყალობით არავის თავს არ უდვია. ეს გახლავთ საბუნებრივო-სამეცნიერო, საბუნებრივო საისტორიო ცნობების გავრცელება გლეხთა ფართე მასსებში. თქვენ უსათუოდ გეცოდინებათ გამოცდილებით, როდესაც თქვენ ამა თუ იმ ადამიანს, მშრომელთა მასსიდან გამოსულს უხშობთ და უსპობთ, ამა თუ იმ სარწმუნოებრივ იდეოლოგიას, იმას უპირველეს ყოვლისა ებადება უღრმესი ინტერესი იმისადმი, რომ გაეცნოს მეცნიერულ მსოფლმხედველობას, რომლითაც შესცვალოს თავისში თვის ძველ სარწმუნოებრივ მეცნიერებას ახალ მეცნიერებით. და სწორედ აქ, ამ შემთხვევაში ის დაუკმაყოფილებელი რჩება. ჩვენში სრულიად არ მოიპოება ასეთი პოპულარული წიგნები, ესა თუ სხვა სამოქალაქო ტეზისები, სახელმძღვანელოები, და სრულებით ვერ იპოვით იმნაირ

# დღეს ნომერში:

**საქ. რევკომის დეკრეტი ხელისუფლების ორგანიზაციის შესახებ.**
**პირველ მაისის დღესასწაულის პროგრამა.**

თხუზულებებს, რომელიც გაავრცელებდენ და განუმარტებდენ მაგალითად, ჩვენს, ეთიკას, ჩვენს კომუნისტურ ზნეობას, და ეს საკითხი კომუნისტურ ზნეობისა, ხომ ერთ უდიდეს მნიშვნელობის საკითხს შეადგენს.

## პირველ მაისისათვის

**დადგენილება 1 მაისის მომწყობი ცენტრალურ კომისიისა და საქ. სოც, საბ. რესპუბლიკის პროფ. კავშირთა საბჭოსი.**

1 მაისის დღესასწაულის მოსაწყობათ ცხადდება მობილიზაცია მთელი არტისტიული ძალების და მოსამსახურეთა (სათეატრო) პერსონალურად ან ყველა სტუდიების და ახალგაზრდათა კავშირისა. თეატრის ყველა მოღვაწენი მოვალენი არიან სათეატრო კომისიის პირველ მოთხოვნილებაზედ წარსდგნენ მის განკარგულებაში.

კომისიის თავმჯდომარე **დონენკო.**

კავშირების თავმჯდომარე **მ. ყურულიშვილი.**

„რაბისის" თავმჯდომარის ამხანაგი **ქრ. ერანოვი.**

### 1 მაისის დღესასწაული.

საქართველოს კომპარტიის ცენ. კომ. სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებამ შეიმუშავა შემდეგი თეზისები მომხსენებელთათვის, თემაზე „1 მაისის დღე".

1 მაისი, როგორც საერთაშორისო პროლეტარიატის მსოფლიო დღესასწაული, დაარსდა პირველად მეორე ინტერნაციონალის პირველ ყრილობაზე პარიზში 1889 წ.

2) ეს დღე შეიქმნა მთელი მსოფლიო პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის სიმბოლოთ.

3) მუშები სტოვებდნენ სამუშაოს და გამოდიოდნენ ქუჩებში ლოზუნგებით: 1) პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით, 2) გაუმარჯოს 8 საათის სამუშაო დღეს, 3) ძირს ომი, 4) ძირს მუდმივი ლაშქარი.

ამ ლოზუნგებში იხატებოდა ერთსულოვნობა და სოლიდარობა. ყველა ქვეყნის პროლეტარიატისა, რომელიც მტრულ განწყობილებაშია კაპიტალისტებთან და მზათ არის ეომოს მათ.

4. მეორე ინტერნაციონალის მეთაურებმა დაივიწყეს თავისი ლოზუნგები და იმის მაგიერ, რომ ომისთვის ომი გამოეცხადებინათ, გააჩაღეს ძმათა სასაკლაო, გამოცხადებული ყველა ქვეყნის იმპერიალისტთა მიერ და ლოზუნგი „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით"-ს მაგიერ წამოაყენეს ლოზუნგი „სამშობლოს დაცვა". მუშებს მოუწოდებდენ უარი ეთქვათ კლასიურ ბრძოლაზე და შეთანხმებულათ ეცხოვრათ ნაციონალურ ბურჟუაზიასთან. იმის მაგიერ რომ დაეცვათ 8 საათის სამუშაოს დღე, მოუწოდებდენ მუშებს ყოველი ღონე ეხმარათ სამშობლოს დასაცავათ და გულცივათ უყურებდენ, როგორ იმონებდა მუშათა კლასს ბურჟუაზია.

5. მაგრამ ომის პროცესში ვითარდებოდა კლასობრივი წინაამდეგობა და ინგრეოდა დაწყობილი მთლიანობა. მუშათა კლასი შორდება მეორე ინტერნაციონალს, დარწმუნებული, რომ მეორე ინტერნაციონალმა უღალატა მუშათა საქმეს და თავის ტრადიციებს.

6. ბურჟუაზიის გამდიდრება და მუშათა გაღატაკება თანდათან აღრმავებდა კლასობრივ წინაამდეგობას და ამით ანგრევდენ დაწყობილ მთლიანობას. რევოლიუციონური მოძრაობა, რომელიც იზრდებოდა ყველა სახელმწიფოებში, განხორციელდა ყველაზე ჩამორჩენილ და დანგრეულ მხარეში—რუსეთში, ოქტომბრის რევოლიუციის სახით.

7. მთელი ქვეყნის პროლეტარები პოულობენ თავის სამშობლოს მუშათა და გლეხთა საბჭოთა რუსეთში და მოსკოვში ეყრება საძირკველი მესამე ინტერნაციონალის რევოლიუციონურ მოქმედებათა ცენტრს.

8. მესამე ინტერნაციონალი აყენებს მთელ ქვეყანაში საბჭოთა წყობილების დაწესებისთვის აქტიურ ბრძოლის ლოზუნგს. მოკლე ხნის განმავლობაში მესამე ინტერნაციონალი აძლიერებს და აფართოებს თავის გავლენას და გახდება ბურჟუაზიულ წესწყობილების ნამდვილ მუქარათ.

9. მთელი ქვეყნის პროლეტარები განადგურებული ომით და ახალ ომების წინაშე მდგარნი, რწმუნდებიან, რომ კაპიტალისტთა კლასს არ შეუძლიან მოაწესრიგოს წარმოება და სძლიოს ეკონომიური კრიზისი, გრძნობენ, რომ აუცილებელია თვითონ მიჰყონ ხელი წარმოებას. სოციალისტურ წყობილების განხორციელება დღევანდელ დღის საკითხია.

10. მაგრამ ბურჟუაზია თავის ბატონობას უბრძოლველათ არ დასთმობს. არა პარლამენტში ხელის აწევით გადაწყდება ხელისუფლების გადასვლის საკითხი. ჩვენ ვდგევართ უკანასკნელ ომის წინაშე და მხოლოდ მთელი ძალების მოკრებით, მთელი მსოფლიო მუშათა სრულ სოლიდარობით ჩამოგდებულ იქნება ბურჟუაზიის ბატონობა და ამიტომ ჩვენ ვამბობთ: გაუმარჯოს სამოქალაქო ომს.

11. საქართველოს პროლეტარიატი 1-ლ მაისს ხვდება განახლებულ ცხოვრების განთიადზე. ამ დიად დღეს, მთელი მსოფლიოს რევოლიუციონურ ლაშქრის დათვალიერების დღეს საქართველოს მუშას შეუძლიან სიამაყით სთქვას, რომ მან უარჰყო ბურჟუაზიულ იდეალოგიის გზა და მე-3—ინტერნაციონალთან ერთად დაადგა ბრძოლის, სოციალიზმის ზეიმის და გამარჯვების გზას.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ საბჭოთა ხელისუფლებას. გაუმარჯოს მე-3 ინტერნაციონალს. გაუმარჯოს სოციალურ რევოლიუციას.

ს. კ. პ. ც. კ. სააგიტაციო განყოფილება წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს 1-ლ მაისისის დღესასწაულზე გამოვიდნენ შემდეგ ლოზუნგებით:

1. გაუმარჯოს პირველ მაისის დღესასწაულს საბჭოთა საქართველოში.
2. გაუმარჯოს მსოფლიო „მშრომელთა განმანთავისუფლებელ პროლეტარულ წითელ არმიას.
3. გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციის შტაბს მე 3 ინტერნაციონალს.
4. გაუმარჯოს მე 3 ინტერნაციონალის წინამძღოლთ.
5. გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის წინამძღოლს ამხ. ლენინს.
6. გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას.
7. გაუმარჯოს ერთად-ერთ სწორ გამომხატველ მშრომელთა ინტერესებისას კომუნისტურ პარტიას.
8. გაუმარჯოს საბჭოთა ძალა-უფლებას—მშრომელთა უფლებას.
9. წყევლა და კრულვა მე-2 ინტერნაციონალის წინამძღოლთ—მშრომელთა მოღალატეებს.
10. გაუმარჯოს ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს.
11. ზიზღი და კრულვა მენშევიკების მეთაურთ, რომლებმაც გაცარცვეს საქართველოს მშრომელი ხალხი.
12. გაუმარჯოს ბურჟუაზიის მონობისაგან განთავისუფლებულ საქართველოს მშრომელ ხალხს.
13. გაუმარჯოს შეიარაღებულ მშრომელთა კავშირს მე-3 ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.
14. მხოლოთ საბჭოთა ძალაუფლებას შეუძლია მოსპოს ეროვნული შუღლი, ეროვნული ომი.
15. გაუმარჯოს კავკასიელ ხალხთა ძმობას.
16. ძირს მსოფლიო მცარცველი იმპერიალისტები, რომლებიც ლამობენ მშრომელთა სისხლში ჩახშობას.
17. გაუმარჯოს აღმოსავლეთის გამოფხიზლებელ რევოლიუციონურ ბრძოლას.

**პირველ მაისის დღესასწაულის მოსაწყობათ.**

პირველ მაისის დღესასწაულის მომწყობმა კომისიამ დაადგინა პირველ მაისის დღესასწაულისათვის მობილიზაცია უყოს ყველა მსახიობთა და მსახურთა ძალებს, რომელნიც გადავლენ სათეატრო კომისიის განკარგულებაში.

ამავე დროს საქართველოს რევკომის თავმჯდომარის და სახალხო განათლების კომისარისაგან სახელმწიფო თეატრების კომისრებმა მიიღეს მოწერილობა. პირველ მაისის საზეიმო დღესასწაულის მოწყობისათვის სათეატრო კომისიას მიეცეს მოთხოვნილებისამებრ ყველა საჭირო მასალა.

**სათეატრო კომისია.**

პირველ მაისის დღესასწაულის მომწყობი სათეატრო კომისია შეუდგა მუშაობას. შემუშავებულია პირველ მაისის დღესასწაულის მთელი გეგმა. სათეატრო კომისია, რომელშიდაც შედის: ა. წუწუნავა, ი. პერესტიანი, მ. მ. მორდკინი, ს. აბაშიძე, ვ. სიმოვი, მიქელოვი, ორანოვი და ბრიანსკი, კომისია უკვე შეუდგა მუშაობას დასახულ გეგმის მიხედვით პირველ მაისისის ცენტრალურ კომისიის ხელმძღვანელობით.

**ხელოვნება.**

**სამხატვრო კომისია.** სასწრაფოთ მუშაობს სამხატვრო კომისია, რომლის ხელმძღვანელობა მინდობილი აქვთ ამხ. პოლოვსკის და ეგიკოვს. მუშაობა სწარმოებს გრუპას სამხატვრო განყოფილების უშუამავლო ტეხნიკურ მონაწილეობით.

**მხვლელობის კომისია.**

მსვლელობის კომისიამ დაიკავა უშუამავლო ურთიერთობა პროფკავშირის ყველა წარმომადგენლებთან. მოწვეულ იქნა პროფკავშირების ყველა გამგეობათა წარმომადგენლობის საგანგებო თათბირი, მუშაობის საერთო გეგმის და ამ მუშაობაში მათი უშუამავალო მონაწილეობის მიღების გასაცნობათ.

**საბავშო კომისია**

ენერგიულათ მუშაობს საბავშო კომისია, რომლის სათავეშიც სდგას ამხ. მ. ორახელაშვილი. განზრახულია საბავშო დღესასწაულის ფართო გეგმა, რისთვისაც იხსნება ყველა ბაღები, სკვერები და პარკები.

დღესასწაულის დედა აზრია: ყველანი ქუჩაში მუშათა მასსებისათვის გამართული იქნება საგანგებო მაისობა საზეიმო სახალხო წარმოდგენებით. ბავშვებისათვის—საგანგებო წარმოდგენები ყველა მოედნებზე და ბაღებში.

კომპარტიის ც. კ. განკარგულებით პირველი მაისის ცენტრალურ კომისიის მოთხოვნილებანი უნდა სრულდებოდეს ყოველივე რიგს გარეშე და რაც შეიძლება სწრაფათ. ყველა ცნობებისთვის, რომელიც დაკავშირებულია პირველ მაისის დღესასწაულთან, უნდა მიმართონ გრუპაში—ცენტრალურ კომისიის მდივანს ამხ. ე. ლისიციანს.

კომისიის თავმჯდომარე ღებულობს ყოველ დღე 1—2 საათამდე. სათეატრო საქმეების გამო უნდა მიმართონ ამხ. ს. აბაშიძეს., სამხატვრო საქმეების გამო ამხ. პავლიკოვსკის, საბავშო დღესასწაულის გამართვისათვის—მ. ორახელაშვილს.

## ამიერ-კავკასიის რესპუბლიკ თა რკინის გზების გაერთიანების შესახებ

**გადაწყვეტილება გაერთიანების შესახებ.**

იმ კრებაზე, რომელზედაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა რკინის გზების გაერთიანებაზე დასწრენ საქართველოს მხრივ ამხ. ორახელაშვილი და ელიავა, სომხეთიდან მისი სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქართველოში ამხ. შავერდოვი, აზერბაიჯანმა კი, წინადვე განაცხადა წერილობით თავისი თანხმობა ამ რკინის გზების გაერთიანებაზე. გარდა ამისა კრებაზე მიწვეულ იყვნენ, როგორც მცოდნე პირები, ამხ. ორჯონიკიძე, მარკოვი, მირონოვი და რუცკი. კრებამ ერთხმად გამოსთქვა სურვილი აღნიშნულ გზების სამმართველოთა გაერთიანების შესახებ და ამ გაერთიანებულ სამმართველოს უფროსად დაასახელა ამხ. მირონოვი.

საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის რკინის გზათა ყველა მოსამსახურეები უნდა დატოვებულ იქნენ თვის ადგილებზე, ვინაიდან დადგენილება, გაერთიანების შესახებ, გულისხმობს და ეხება, მხოლოდ სამმართველოს უმაღლეს მმართველთ.

**შეთანხმების პრინციპები.**

ყველა გზების განყოფილებათა უფროსების, გზები ოლქის, არმიის განყოფილებათა და გზათა მთავარ სამმართველოს უფროსების და უფროსთა სამეურნეო სამართველოსი, საექსპლოატაციო განყოფილებისა, გზის ტეხნიკურ სამართველოსი საფინანსო და საანგარიშო ნაწილის საადმინისტრაციო სამმართველოსი და ყველა საზღვაო ტრანსპორტთა და ცენტრალურ ტრანსპორტთა საყურადღებოთ ცხადდება ამონაწერი, ამიერ. კავკ. საბჭ. სოც. რესპუბლიკათა აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს, ხელშეკრულებიდან: „1) ყველა საექსპლოატაციო რკინის გზები, რომელნიც კი იმყოფებიან საბჭოთა რესპუბლიკების, აზერბაიჯანის საქართველოს და სომხეთის საზღვრებში ერთდებიან ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა რკინის გზების ერთ ქსელში. 2) ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა რკინის გზების მთელ ქსელს სათავეში უდგას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ერთი სამმართველო, რომელიც იმყოფება ქ. თფილისში. 3) ამიერ კავკასიის რკინის გზებისა და შავი ზღვის და კასპიის საზღვაო ნავთსადგურთა შორის ადგილობრივ გადაზიდვის საქმის მოსაწესრიგებლად, ამიერ-კავკ. რკ. გზის სამმართველოსთან, მის უფროსის თავმჯდომარეობით, არსდება ამიერ-კავკასიის ბიურო გადაზიდვის საქმისა". ამიერ-კავკასიის რკ. გზების გაერთიანებულ სამმართველოს და გადასაზიდ ბიუროს მოქმედების დაწყების შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული.

**ამხ. მირონოვის სამსახურის შედგომა.**

ამიერ-კავკასიის საბჭ. რესპ. რკ. გზების გაერთიანებულ სამმართველოს უფროსის ხელმოწერით გაიგზავნა შემდეგი დეპეშები:

„აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის რკინის გზების ქსელზე ყველა უფროსებს; ბაქოში აზერბაიჯანის რევკომიტ. თავმჯდომარეს. თბილისში—საქართველოს რევ. კომიტ. თავმჯდომარეს, და სომხეთში—რევ. კომ. თავმჯდომარეს:

ვაცხადებ ამიერ კავკასიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა დადგენილებას. ამა თვის 16 აპრილის თარიღით „ყოფილი უფროსი აზერბაიჯანის რკინის გზისა მირონოვი ივანე ნიკიტას ძე ინიშნება ამიერ კავკასიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა ყველა რკინის გზების უფროსად".

საქართველოს რევოლ. კომიტ. თავმჯდომარე **ორახელაშვილი.**

აზერბეიჯანის რევ. კომ ტ. თავმჯდომარე **ჰუსეინოვი.**

სომხეთის რევ. კომიტ. თავმჯდომარე **კასიანი.**

ამასთან ერთად ვაცხადებ, რომ ვიდრე მე თანამდებობის აღსრულებას შევუდგებოდე ჩემ მოადგილედ ითვლება საქართველოს საბჭოთა სოც. რესპუბლიკის გზების უფროსის მოადგილე ამხ. რუცკი.

# საბჭოთა საქართველოში.

იტალიის საკონსულოდან მიღებულია შემდეგი ცნობა: 16 აპრილს ბათომში ჩამოვიდა გემი „საქართველო" ფქვილით, შაქრით, მედიკამენტებით და სხვა საქონლით დატვირთული.

18 აპრილს გემი „ანტო" ნავთით დატვირთული ბათომიდან გავიდა კონსტანტინეპოლში ნავთის რესპუბლიკისა. თვის საჭირო საქონელზე გადაცვლის მიზნით.

გემი „პლატა ლანდ-ტრიესტანო". ჩამოვა ბათომში 21 აპრილს. ამავე რიცხვში ჩამოვა გემი „ვენეცია" მარილით დატვირთული.

**სურსათი ფოთისთვის.**

**ფოთი.** 14 აპრ. დეპეშით. მოეწყო სურსათის მიღება, ზუგდიდის, ახალ სენაკის და სამურზაყანოს მაზრებიდან ელიან ქალაქების სასურსათო მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამისთვის განზრახულია საბარათო სისტემის შემოღება, როგორც კი დამთავრდება აღწერის შედეგების დამუშავება. საბარათო სისტემა შემოღებულ იქნება მცხოვრებთა კატეგორიებათ დაყოფის პრინციპზე.

**გორში.**

**გორი.** 13 აპრ. (დეპეშით). სოფლის გლეხობის მრავალრიცხოვანმა საერთო კრებამ მოისმინა რა საქართველოს რევკომის წევრის მოხსენება, ყოფილ მენშევიკურ მთავრობის მოქმედების და საქართველოს რევკომის მოქმედების შესახებ, რომელიც მიმართულია გლეხობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, დაადგინა,—მიესალმოს საქართველოს რევკომს და მის ბელადს ფილიპე მახარაძეს.

**რევკომის წარმომადგენელთა თათბირი**

**ქუთაისი.** 14 აპრილი (დეპეშა) 11 აპრილს ქუთაისში გაიხსნა სამაზრო და სარაიონო რევკომების წარმომადგენელთა თათბირი. დღის წესრიგში იყო: 1) ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა, 2) გუბერკომის მოხსენება, 3) ყველა განყოფილებათა მოხსენება, 4) მოხსენება ქუთაისის გუბერნიის ადმინისტრატიულათ დაყოფის შესახებ, 5) მიმდინარე საკითხები. სხდომას დაესწრო საქართველოს რევკომის თავმჯდომარე ამხ. მახარაძე. თათბირი დამთავრდა 12 აპრილს საღამოს 10 ს.

**რედუდ-კალეში.**

**ფოთი.** 15 აპრ. (დეპეშით). რედუდ-კალეში დაარსდა რევკომი. სასურსათო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. უმამულო გლეხებს დაურიგეს ხუთ-ხუთი ქცევა მიწა (დაახლოებით 2 დესეტინა). შემჩნეულია სასოფლო მეურნეობის მანქანების საჭიროება. რევკომის ღონისძიებით მოხდა ლიკვიდაცია ძარცვა-გლეჯისა. ფართოდ მოეწყო კომპარტიის ყველა განყოფილებანი. მოწყობილია კომიაჩეიკები. გრუპას ფოთის განყოფილებამ გახსნა სააგიტაციო პუნქტები და დაგზავნა ინსტრუქტორები.

**სამზადისი 1 მაისის დღესასწაულისათვის.**

**ქუთაისი,** 14 აპრილი, (დეპეშა). გრუპასთან დაარსდა კომპარტიის და საბჭოთა დაწესებულებების წარმომადგენელთაგან კომისია, რომელმაც უნდა გამოიმუშაოს ქუთაისში და პროვინციაში დღესასწაულის მოწყობის წესი.

**ახალციხე.**

14 აპრილი (ტელეგრაფით). ახალციხის პირველმა პარტიულმა კონფერენციამ დაადგინა კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნოს თავისი მხურვალე სალამი. კონფერენცია, გრძნობს რა მომენტის სიდიადეს, რომელმაც უნდა უკარნახოს ენერგიული აღმშენებლობითი კომუნისტური მუშაობა, ფიცს სდებს თავისი აქტივობა ბოლომდის მიიყვანოს. გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა საქართველოს, საერთაშორისო სოციალურ რევოლიუციას და მის გენერალურ შტაბს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს.

**ალბულახი.** (საკუთ. გრუკავრს. კორ.) ალბულახის გრუკავროსტას განყოფილება გაიხსნა. მცხოვრებნი ინტერესით თვალყურს ადევნებენ განყოფილების მოქმედებას. გაიხსნა ბიბლიოთეკა, სამკითხველოები, ყოველდღე გამოდის საპლაკატო მოამბე, რომელიც მცხოვრებთ აცნობს საქმის ნამდვილ მდგომარეობას. მოზრდილთათვის გაიხსნა სკოლა წერაკითხვის უცოდინარეობის ლიკვიდაციისთვის. დიდს მუშაობას აწარმოებს კულტურულ-განმანათლებელი სექცია. იკითხება ლექციები საერთო განათლების თემაზე. სექციამ შემდეგი სამუშაო დაისახა მიზნად; 1) გამოცდების მოწყობა მიწის ნაჭრებზე, რძის ფერმებისა და 2) საბავშო სახლებისა. ალბულახის რაიონში 32 მოსახლე პუნქტი ითვლება (2000 კომლზე მეტი) შიგ ჰრელი მოსახლეობით. სოფლის რევკომებთან მოეწყო აგიტ-პუნქტები, ბიბლიოთეკები და სამკითხველოები.

მცხოვრებთა დიდი უმეტესობა 80 პროც. წერა-კით. უცოდინარია. რაიონის რევკომების ყრილობაზე, დაადგინეს მთავარ საქმედ მიიჩნიონ ბრძოლა წერაკითხვის უცოდინარობასთან და სიბნელესთან. რაიონში სასურსათო მდგომარეობა საშინლად მძიმეა. 1920 წლ. პურის მოსავალი სტიქიურმა უბედურებამ დიდად დააზარალა. რევკომმა აკრძალა ამ რაიონებიდან პურის გატანა და დაადგინა, მიიღოს საჭირო ზომები ცარიელ მიწების დასათესად.

# საბჭოთა რუსეთში

**მეამბოხეთა ბელადის დატუსაღება.**

**ბერლინი.** 17 აპრ. (რადიო). გაზეთები იტყობინებიან, რომ ბერლინში დაატუსაღეს შუა გერმანიაში ამბოხების ხელმძღვანელი ჰელცი.

**შრომის წითელი დროშის ორდერი.**

**მოსკოვი** 18 აპრილი (რადიო). სრულიად რუსეთის ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება. პრეზიდიუმი აცხადებს სრულიად რუსეთის კონკურსს გულზე სატარებელ შრომის წითელ დროშის ორდენის სურათის შესადგენად. ნიშანი ჩვეულებრივი ზომისა უნდა იყოს, სიგრძე- სიგანე დუიმნახევარი და ფერადებით. სურათის სახე ავტორის გემოვნებაზეა დამოკიდებული დაწყებითი ასოების რ. ს. ფ. ს. რ. გარდა ნიშნის კარგს პირზე აღნიშნული უნდა იყოს დევიზის სახით კონსტიტუციის მიერ აღიარებული დებულებები. კონკურსის ვადა ერთი თვეა. პირველი პრემია 5000,000 მან. მეორე-250,000 მან. მესამე-10,000 მან.

**მუშა ქალთა უპარტიო ყრილობა**

**მოსკოვი** 18 აპრილი (რადიო). მოსკოვში, ხრაპოვნიკის უბნის მუშა ქალთა უპარტიო ყრილობამ დიდი ინტერესით ჩაიარა. თავდაპირველად თავ დაჭერილი ხასიათი კონფერენციისა, მუშაობის პროცესში გაჰქრა. ყრილობამ მიიღო ფართო და ცოცხალი ხასიათი. დრო გამოშვებით მოხსენების აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მთელი აუდიტორია იღებდა მონაწილეობას. მუშა ქალებმა თავის რეზოლიუციაში სურვილი გამოსთქვეს, რომ მიიღებენ მხურვალე მონაწილეობას სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში. კონფერენციამ ნათლად დაგვანახვა ზრდა მუშათა შეგნებისა, რომელთაც საკმაოდ ესმით სახელმწიფოს დიდი აღმშენებლობა.

**უკრაინის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის რაკოვსკის ნოტა პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრისადმი.**

**მოსკოვი.** 18 აპრ. (რადიო). უკრაინის მთავრობა აღნიშნავს, რომ პოლონეთის მთავრობის მხრივ არ არის მიღებული სათანადო ზომები ხელშეკრულების მეორე მუხლის შესასრულებლად, რომელიც ავალებს ორივე მხარეს ხელი არ შეუწყონ ურთ-ერთ საწინაამდეგო ორგანიზაციებს პოლონეთის ტერიტორიაზე. ტარობელში, ცხადებობს და ოფიციალურათ მოქმედობს ორგანიზაცია, რომელიც თავის თავს უწოდებს უკრაინის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას, რომელსაც აქვს თავისი კაბინეტი მინისტრებისა და საკუთარი პარლამენტი.

# საზღვარ-გარეთ

**მუშების ექსპლოატაცია.**

**ციურიხი,** 14 აპრილი. შვეიცარიის მეისრეთა კავშირმა გამოიტანა საპროტესტო რეზოლიუცია ფედერალურ საბჭოს მიერ გაზრახულ რკინის გზებზე მომუშავეთათვის 8 საათის სამუშაო დღის 9 ს. სამ. დღით შეცვლის წინააღმდეგ. თავის რეზოლიუციაში მეისრეთა კავშირი აღნიშნავს: „ეს თვითნებითი სამუშაო დღის გაგრძელება, არამც თუ არის მშრომელთა მდგომარეობის გაუარესება, არამედ შვეიცარიის მთელ მცხოვრებთა ნებისყოფის უარყოფა, რომლითაც 1620 წ. 31 დეკემბრის რეფერენდუმით დამტკიცებულია რკინისგზებზე მომუშავეთათვის 8 საათის სამუშაო დღე.

**ინგლისის მემაღაროეთა გაფიცვა.**

**მოსკოვი,** 18 აპრილი (რადიო). როგორც სჩანს, მემაღაროეებს მარტო მოუხდებათ ბრძოლის გაგრძელება გაფიცვის ფონდის შემცირების გამო. ზოგიერთ ოლქებში უკვე დაიხარჯა უკანასკნელი ფული, რომელიც კავშირმა გასცა დახმარების აღმოსაჩენად გაფიცვის დროს. ტრანსპორტზე მომუშავეებთა და რკინისგზელთა წარმომადგენლებმა გამოუშვეს დეკლარაცია, რომელშიაც აცხადებენ, რომ თანაგრძნობის გაფიცვა გადადო პარასკევს შემდგარ კონფერენციის შემდეგ. რადგანაც არ შეიძლებოდა იმედი გვქონოდა მასსათა მოქმედების ერთობის, შეგნების და სიმტკიცისა". რკინის გზის მიმოსვლა 35 პროცენტით შემცირდა. მეზღვაურებმა ხმის უმეტესობით გაფიცვა უარყვეს.

**სამშვიდობო ხელშეკრულება პოლონეთთან.**

**რიგა** 16 აპრილი (რადიო). პოლონეთის სამშვიდობო დელეგაციის თავმჯდომარემ დებსკიმ განაცხადა, რომ პოლონეთი შეუდგება საბჭოთა რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების სვინდისიერად შესრულებას.

**სამართლიანი მოთხოვნილება.**

**მოსკოვი.** 18 აპრილი. (რადიო). ინდოეთის მოძრაობის ბელადებმა ინგლისის მთავრობას მოსთხოვეს ინდოეთის სრული ავტონომია.

**პირველი მაისის დღე საზღვარგარედ.**

**მოსკოვი,** 18 აპრილი. (რადიო). ბერ-

გიის სატრანსპორტო მუშებმა დაადგინეს შეაჩერონ მუშაობა 1-ლ მაისს მთელი დღით.

**საგაფიცვო მოძრაობა ლატვიაში.**

**რიგა.** 16 აპრ. (რადიო). გუშინ შეიკრიბა ლატვიის დამფუძნებელი კრების მამასახლისთა საბჭო შექმნილ მდგომარეობის გამო, რომელიც საგაფიცვო მოძრაობამ გამოიწვია. თათბირის შემდეგ მთავრობას წინადადება მისცეს განაახლოს მუშებთან მოლაპარაკება.

## კონსტანტინე დ. ყიფიანი

გარდაიცვალა მოხუცი მსახიობი ქართულ დრამისა—კოტე ყიფიანი, ერთი იმათთაგანი, რომელმაც საძირკველი ჩაუყარეს ქართულ დრამატიულ დასს. 50 წლის განმავლობაში მსახიობი კ. ყიფიანი შეურყევლად იდგა თვის სადარაჯოზე და იტანდა თვის ამხანაგებთან ერთად ყველა სიდუხჭირეს და მატერიალურ გაჭივრებას არტისტიულ ცხოვრებისას.

განსვენებულ მსახიობს თვის ზურგზე უხდებოდა მთელი სიმძიმის ტარება გმირულ რეპერტუარისა (შექსპირის თეატრი) და იმავე დროს გამოდიოდა ყოფა ცხოვრების ხასიათის როლშიაც (მოლიერი, ოსტროვსკი, სუნდუკიანცი, ცაგარელი) ქართულ თეატრის საძირკვლის ჩაყრის პირველ წლებში არა ერთხელ ასრულებდა რეჟისორის თანამდებობასაც. როგორც უმრავლეს ძველ ქართველ არტისტებმა, მან სამშობლო თეატრს უძღვნა მთელი რიგი ნათარგმნი და ორიგინალური ნაწარმოებისა, რომელნიც ქართულ თეატრის რეპერტუარს დიდხანს არ შორდებოდენ და იდგმებოდნენ სცენაზე.

უკანასკნელ ხანს განსვენებული აღარ გამოდიოდა სცენაზე, ხანგრძლივ ავადმყოფობის გამო და გარდაიცვალა ის 75 წლის მოხუცი.

საქართველოს რევოლიუც. კომიტეტმა დაადგინა განსვენებულ მსახიობის დაკრძალვა თვის ხარჯზე და გადასდო ამ საქმისთვის 300,000 მანეთი. განსვენებულ კოტე ყიფიანის დაკრძალვა მოხდება დღეს 21 აპრილს.

## კოტე ყიფიანის დასაფლავება

ქართული სცენის დამსახურებულ მსახიობის კოტე ყიფიანის დასაფლავება მოხდება დღეს 21 აპრილს. წირვა დაიწყება დილის 10 ს. ქვაშვეთის ეკლესიაში. ცხედარს გამოასვენებენ დაახლოვებით 12 ს. დამკრძალავ კომიტეტმა თავის სხდომაზე დაადგინა: ეთხოვოს რაბისს, რათა მან იშუამდგომლოს პროფკავშირების წინაშე რომ დაწესებულებებმა გაანთავისუფლონ მუშაობიდან ის მუშა მოსამსახურენი, რომელნიც მოისურვებენ მსახიობ კ. ყიფიანის დაკრძალვას დაესწრონ. სიტყვები წარმოთქმული იქნება შემდეგ ადგილებში: ქვაშვეთის ეკლესიის გალავანში, სახელმწიფო დრამის, სახალხო სახლის წინ და დიდუბის პანთეონში, სადაც დაკრძალავენ განსვენებულს. ვისაც სიტყვის წარმოთქმა სურს, მან წინათვე ამის შესახებ უნდა განუცხადოს დამკრძალავ კომიტეტს. ამ დღეს არ შესდგება ქართული წარმოდგენები. გვირგვინების რიცხვი არ არის განსაზღვრული, მწერალთა კავშირის წევრის კ. ყიფიანის გარდაცვალების გამო მწერალთა საბჭომ თავის სხდომაზე განსვენებულის ხსოვნას პატივი სცა ფეხზე ადგომით და დაადგინა დაესწროს დაკრძალვას მთელი თავისი შემადგენლობით.

# მთავრობის მოქმედება და განკარგულებანი

## ცირკულიარული

**სახელმწიფო დაწესებულებებს, საპროფესიო კავშირთა საბჭოს, ქუთაისის გუბერნიის, ბათომის და სოხუმის საოლქო შრომის კომისრებს.**

ამით გაუწყებთ ცნობად, სახელმძღვანელოდ და განკარგულებისათვის, რომ მუშა-მოსამსახურეთა ლიკვიდაციის დროს შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიის ამა წლის 26 მარტის დადგენილების თანახმად, სალიკვიდაციო გასამრჯელო უნდა მიეცეს შემდეგი წესით:

1) კერძო მწარმოებელთათვის ძალაში რჩება ყოფილ ცენტრალურ სამომრიგებლო კამერის მიერ დადასტურებული ნორმები.

2) ხოლო იმ შემთხვევაში, როცა სალიკვიდაციო გასამრჯელოს სახელმწიფო აძლევს იმ მუშა-მოსამსახურეთ, რომელთაც სამუშაო დაჰკარგეს წარმოების რეკვიზიციის გამო, ეს გასამრჯელო უნდა მიეცეთ შემდეგი ნორმით: ყოველ ნამსახურ წელიწადში ერთი თვის ჯამაგირი, მაგრამ იმ ვარაუდით, რომ საბოლოო ანგარიშის დროს ეს ნორმა სამი თვის ჯამაგირს არასგზით არ აღემატებოდეს.

კოლეგიის წევრი **მიქაძე.**

საქმეთა მმართველი **მ. ბერძნიშვილი.**

**ყველა პროფესიონალურ და საწარმოო კავშირებს.**

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტის დეკრეტის ასასრულებლად მუშა-მოსამსახურეთა სოციალურ დაზღვევის შესახებ, შრომის სახალხო კომისარიატმა დაადგინა:

1) მუშა-მოსამსახურეთა ავადმყოფობის შემთხვევისაგან დაზღვევის განსაკუთრებულ დებულებების გამოცემამდე, ყველა ის პირნი, რომელნიც დაქირავებულ შრომას ეწევიან და ირიცხებიან პროფესიონალურ კავშირთა წევრებათ 15 აპრილიდან მაწერილ იქმნან საავადმყოფო კასებზე.

2) ქ. თფილისის პროფესიონალურ კავშირთა ყველა წევრები მიეწერონ თფილისის საქალაქო საავადმყოფო კასას.

**შენიშვნა:** რკინის გზის მოსამსახურეთათვის ფულის მიცემა თუ საექიმო დახმარების აღმოჩენა ავადმყოფობის დროს ხდება წინანდელ წესით.

3) საექიმო დახმარების გაწევა და ფულის გაცემა საავადმყოფო კასებისაგან ავადმყოფობის დროს, ახალ დებულებათა გამოცემამდე, უნდა ხდებოდეს კასის ყველა მონაწილეთათვის ამ დროში არსებულ ნორმების მიხედვით.

4, სამუშაოს მიმცემთა მიერ მონაწილეთა ხელფასისაგან 5 პროც. დაკავება 1 აპრილიდან გადიდებულ იქმნეს 10 პროც. ამასთანავე საექიმო დახმარების საქმე გადადის სავსებით საავადმყოფო კასების გამგებლობაში.

5, წინადადება მიეცეს საავადმყოფო კასებს ჯანმრთელობის სახალხო კომისართან ერთად მოაწყოს საექიმო დახმარების საქმე, ყველა დაქირავებულ მშრომელთათვის, გარდა რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა.

6, სამუშაოს მიმცემთა ყველა გადასახადი უნდა შედიოდეს 15 აპრილიდან შრ. სახ. კომ. სალაროში, ხოლო საავადმყოფო კასებმა, აუცილებელ საშუალებათა მისაღებათ ყოველთვის მიმართონ შრ. ს. ხ. კომ., სათანადო ხარჯთაღრიცხვის წარდგენით.

7, ამ დადგენილების შესახებ ეცნობოს პროფესიონალურ კავშირებს და საავადმყოფო კასებს, აუცილებლივ ასასრულებლათ.

შრომის სახალხო კომისარი **ლ. დუმბაძე;** ს. ა. ს. გ. თავმჯდომარე **გ. ყურულიშვილი:** შრომის სახ. კომ. შრომის დაცვის გამგე **ლ. ელბაქიანი.**

## დეკრეტი № 21

**საქარ. ს. ს. რ რევოლიუციონურ კომიტეტისა.**

სახელმწიფოს ხელში გადასულ დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებისათვის სალიკვიდაციო ჯილდოს მიცემის შესახებ.

1. მუშა-მოსამსახურეთ იმ დაწესებულებათა და წარმოებათა, რომელნიც გადაიცემიან სახელმწიფოს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციების გამგებლობაში ან საკუთრებად, უფლება აქვთ დარჩნენ თავიანთ ადგილებზე და განაგრძონ სამსახური.

2. მუშა მოსამსახურეთა შტატის შემცირების ან მისი სრული ლიკვიდაციის დროს, თუ იგი გამოწვეული იქნება წარმოების ან დაწესებულების სახელმწიფოს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციების ხელში გადაცემით, დათხოვილ მუშა-მოსამსახურეებს სალიკვიდაციო ჯილდო უნდა მიეცეთ იმ ორგანოების მიერ, რომელთა გამგებლობაშიც გადავა აღნიშნული დაწესებულება, ან წარმოება.

**შენიშვნა 1.** სალიკვიდაციო ჯილდო არ ეძლევათ იმ დათხოვნილ მუშა-მოსამსახურეთ, რომელთაც სახელმწიფოსაგან მიეცემათ სამუშაო სხვა დაწესებულებაში ან წარმოებაში.

**შენიშვნა 2.** იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოება ან დაწესებულება გადადის სახელმწიფოს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციის ხელში და ძველს პატრონს აუნაზღაურდება წარმოების ან მისი ინვენტარის ღირებულება, მუშებს და მოსამსახურეთ სალიკვიდაციო ჯილდო უნდა მიეცეთ ძველი პატრონისაგან ნამსახურობის დროის თანახმად, იმისდა მიუხედავად მუშები დარჩებიან იმავე დაწესებულებაში თუ არა.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც სალიკვიდაციო ჯილდოს იხდის სახელმწიფო, პირველი ნახევარ მისი მიეცემათ მუშა-მოსამსახურეთ წარმოების ან დაწესებულების სახელმწიფოს ხელში გადასვლისთანავე დაუყონებლივ, ხოლო მეორე ნახევარი სალიკვიდაციო ჯილდოსი მიეცემათ მათ ერთი თვის შემდეგ, თუ ამ ხნის განმავლობაში უადგილოდ დარჩენილ მუშა მოსამსახურეებმა ვერ იშოვეს სამუშაო.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ორახელაშვილი.**

შრომის სახალხო კომისარი

**ლ. დუმბაძე.**

1921 წ. აპრილის 15.

ტფილისი-სასახლე.

## ბრძანება.

**საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.**

11 აპრილი 1921 წ.

№ 7.

**ქალ. თფილისი.**

საბჭოთა სოციალისტურ საქართველოს რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტის დეკრეტებითა და ბრძანებებით აღიარებულია საქართველოში თავისუფალი ვაჭრობა, სურსათ-სანოვაგის და სხვა საქონლის თავისუფალი გადაზიდვა-გადმოზიდვა რესპუბლიკის საზღვრებში, აკრძალულია ყოველგვარი ჩხრეკა ბინებისა და ვისიმე დაპატიმრება და აგრეთვე აკრძალულია რისიმე რეკვიზიცია ან კონფისკაცია გარეშე იმ წესებისა, რომელიც ნაჩვენებია ხსენებულ დეკრეტებში და ბრძანებებში.

ჩემამდი მოსულ ცნობებით, რასაც მტკიცდება შინაგან საქმეთა კომისარიატში მრავლად შემოსულ საჩივრებიდან, ადგილობრივი რევკომები და მისი ცალკე წევრები ზემოთ მოყვანილ დეკრეტებში აღნიშნულ წესების მიუხედავად უკრძალავენ მოქალაქეთა და ვაჭრებს სურსათ სანოვაგის და სხვა საქონლის გადატან-გადმოტანას რესპუბლიკის საზღვრებში, თვითონ ახდენენ ნივთების, ავეჯეულობის, საქონლისა და უძრავ ქონების რეკვიზიციას და კონფისკაციას და სხვ.

საქართველოს რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ზემოთ მოყვანილი დეკრეტებისა და ბრძანებების გაცემის დროს ხალხისა და რესპუბლიკის ინტერესებით ხელმძღვანელობდა საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად რესპუბლიკაში, ადგილობრივ რევკომების და მისი წევრების უკანონო მოქმედებანი კი სრულიად სცემენ და აქარწყლებენ საბჭოთა ხელისუფლების პრესტიჟს და უკმაყოფილოთა რიცხვს ამრავლებენ. ამ გვარად ისინი ემსახურებიან საბჭოთა ხელისუფლების მტრებს და არა იმ მიზანსა და დანიშნულებას, რომელთა სამსახურისათვის არიან მოწოდებულნი.

გაფრთხილებთ საბოლოოდ და წინადადებას გაძლევთ ყველა რევკომებს, მის წევრებს და თანამდებობის პირთ მტკიცეთ დაიცვათ საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის მიერ გამოცემული ყველა დეკრეტი და ბრძანება და არავითარი დაბრკოლება არ შეუქმნათ მოქალაქეთ სურსათ-სანოვაგისა და სხვა საქონლის გადატან-გადმოტანაში, არ მოახდინოთ არავითარი ჩხრეკა და დაპატიმრება მოქალაქეებისა, რეკვიზიცია და კონფისკაცია ნივთებისა, ავეჯეულობის ან უძრავ ქონებისა იმ წესების გარეშე, რომელიც აღნიშნული არიან კანონში.

ხსენებულ კანონების დამრღვევნი დასჯილ იქმნებიან რევოლიუციონურ წესების მთელის სისასტიკით.

მოქალაქეთ წინადადებას ვაძლევ ამ წესების დარღვევის შემთხვევებში დაუყოვნებლივ აცნობოს შინაგან საქმეთა კომისარიატს დამნაშავეთა წინააღმდეგ სასტიკი ზომების მისაღებათ.

შინ. საქ. კომ. **ბ. კვირკელია.**

საქმ. მმართველი **ვ. ხახანაშვილი.**

## დეკრეტი

**საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სარევოლიუციო კომიტეტის ხელისუფლების ორგანიზაციის შესახებ.**

§ 1. რევოლიუციონური კომიტეტი არის საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის უზენაესი საკანონმდებლო, განმკარგულებელი და კონტროლის ორგანო.

§ 2. რევოლიუციონური კომიტეტი იწვევს სრულიად საქართველოს საბჭოთა კრებას, რომელსაც უდგენს თავის მოღვაწეობის ანგარიშს და მოხსენებას საერთო პოლიტიკისა და ცალკე კითხვების შესახებ.

§ 3. რევოლიუციონური კომიტეტი იხილავს და ამტკიცებს კომისრების მიერ შეტანილ დეკრეტებისა და სხვა წინადადებათა პროექტს და აგრეთვე დამოუკიდებლათ სცემს დეკრეტებს, დადგენილებებს და სხვ.

§ 4. საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მართველობის ცალკე დარგების საერთო სახელმძღვანელოთ რევოლიუციონური კომიტეტი აწესებს ცალკე სახალხო კომისარიატებს და უმაღლეს დაწესებულებათ.

§ 5. რევოლიუციონური კომიტეტის წევრები განაგებენ ცალკე კომისარიატებს, ანუ ასრულებენ ამავე კომიტეტის ცალკე მინდობილობათ.

§ 6. რევოლიუციონურ კომიტეტის წევრები სათავეში უდგანან ქვემო ხსენებულ ცალკე სახალხო კომისარიატებს და უმაღლეს დაწესებულებებს. ა) გარეშე საქმეთა, ბ) სამხედრო-საზღვაო, გ) შინაგან საქმეთა, დ) იუსტიციისა, ე) შრომისა, ვ) სოციალურ უზრუნველყოფისა, ზ) სახალხო განათლებისა თ) ფოსტა-ტელეგრაფისა, ი) ფინანსებისა, კ) გზათა მიმოსვლისა (რკ. გზ.), ლ) საგარეო ვაჭრობისა, მ) მიწათ-მოქმედებისა, ნ) მომარაგებისა, ო) მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, პ) ჯანმრთელობის დაცვისა, ჟ) სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსა და რ) საგანგებო-საგამომძიებლო კომისიასა.

§ 7. თვითეულ სახალხო კომისართან მისსავე თავმჯდომარეობით არსდება კოლეგია, რომლის წევრთ და აგრეთვე შემადგენლობის რიცხვს თვითეულ კომისარიატისათვის ცალკე საზღვრავს და ამტკიცებს რევოლიუციონური კომიტეტი.

§ 8. სახალხო კომისარს უფლება აქვს პირადად დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება ყველა საკითხების შესახებ, რომელიც ექვემდებარება მის კომისარიატს, ხოლო აცნობებს ამას კოლეგიას. თუ კოლეგია სახალხო კომისარის რომელსამე დადგენილებას არ დაეთანხმება, ამ დადგენილების აღსრულების შეუჩერებლად, მას შეუძლია განასაჩივროს რევოლიუციონურ კომიტეტში.

§ 9. სახალხო კომისარების მოქმედების კონტროლი, მათი დანიშვნის და გადაყენების უფლება და აგრეთვე მათი მოადგილეებისა, ეკუთვნის საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტს.

§ 10. თვითეულ კომისარიატის ცალკე სამოქმედო ასპარეზი განისაზღვრება რევოლიუციონურ კომიტეტის განსაკუთრებულ დადგენილებით და ცხადდება საყოველთაო ცნობისა და ხელმძღვანელობისათვის.

§ 11. ზემოხსენებულის განსახორციელებლად, თვითეული სახალხო კომისარი წარუდგენს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტს თავის კომისარიატის შინაგან აგებულების დაწვრილებით შემუშავებულ და განსაზღვრულ სამოქმედო გეგმას და აგრეთვე ამ კომისარიატის ქვემდებარე განყოფილებებისას რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე. ამავე დროს უნდა იყოს ნაჩვენები მათი ურთიერთ შორის დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლების დანარჩენ ორგანიზაციებთან.

§ 12. საბჭოთა აღმაშენებლობის საერთო აგებულების შეფარდებით, ვიდრე საქართველოს საბჭოთა საერთო კრება იქნება მოწვეული საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, არსდება რევკომები მაზრისა, ქალაქისა, (მარტო თბილისში) რაიონისა და თემისა, რომელთა უფლება და მოვალეობა და აგრეთვე ამ რევკომებთან განყოფილებების მოწყობის წესი, სათანადო კომისარიატების ხელმძღვანელობით (§ 6), განისაზღვრება საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის დეკრეტით.

**შენიშვნა.** სარაიონო რევკომი არსდება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის ცნობით იქ, სადაც ადგილობრივ და სხვა გარემოებისა გამო არის ამის საჭიროება.

რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **მ. ორახელაშვილი.**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი

**ბ. კვირკელია.**

## წითელი ლენტი.

ეს მაშინ იყო, როდესაც ჯერ კიდევ ქვეყანათ ბურუსი იყო და ირგვლივ ცა ღრუბლით მოცული...

ის ქუჩაში ვანოს გაჩქარებით სადღაც მიეჩქარებოდა...

— სად მიეჩქარები ვანო?..

— პარტიულ კრებაზე...

— როგორაა საქმე—როგორი შეხედულების ხარ თანამედროვე მომენტზე?..

— ოხ ვერ წარმოიდგენ ჩემს სულიერ ტანჯვას, რომ შემეძლოს ამ კომუნისტებს კბილით დავგლეჯ, ნაცრათ ვაქცევ—ისინი მოღალატეები არიან. მათ გაყიდეს თავიანთი სამშობლო და მოუძღვებიან წინ, ჯარს ისეთს, რომელიც ქვას ქვაზე აღუღებს, ყველაფერს სპობს... ქალებს აუპატიურებს და ბევრს სხვა საშინელებას ჩადიან, მაშ, რა დაგვრჩენია ჩვენ... ბრძოლა... ბრძოლა მათ წინააღმდეგ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. და ჩქარი ნაბიჯით გაეჩქარა.

—

კომუნისტების მიტინგი გუშინ იყო, ხალხი ერთიმეორეში ირეოდა, დიდი და პატარა ერთიმეორეს ულოცავდენ მენშევიკურ მთავრობის დამხობას და წითელ ჯარის გამარჯვებას... ბევრს წითელი ლენტები გაეკეთებია მკლავებზე, ქუდებზე... ამით ისინი მეტს სიხარულს გამოსთქვამდენ—ახალ მთავრობის მიმართ... ორატორები ოფლში იწურებოდენ, ხსნიდენ მდგომარეობას, ულოცავდენ ხალხს გამარჯვებას—ვიღაცამ ხელი მსტაცა. მოვიხედე...

ის ვანო იყო, მას წითელი ლენტი მკლავზე გაეკეთებია და ტროსტზეც შემოეყოლებია...

მომილოცავს .. მომილოცავს, ამხანაგო ჩვენი იდეალების გამარჯვება...

— შენ როგორ, გუშინ მენშევიკი იყავი. დღეს რაშია საქმე?...

— მართალია, მაგრამ მე გულით კომუნისტი ვიყავი და მაზე ვლოცულობდი... თავი ჩავღუნე და გულში გავიფიქრე,—რამდენი ამისთანა პირები არიან აქ ამ მიტინგზე, რომლებიც წითელი ლენტებით მორთულან, მაგრამ გულში კი რა უდევთ...

სამ. კულაშელი.

# ქრონიკა

**მეაბრეშუმეობის კურსები.** საბრეშუმო სადგურის შენობაში, 4 მაისს იხსნება მეაბრეშუმეობის და მეფუტკრეობის უფასო კურსები. კურსებზე ჩაწერა ყველას შეუძლია, არა ნაკლებ 15 წლისა. პრაქტიკული ვარჯიშობა განსაზღვრულია მხოლოდ 60 კაცისათვის. მეცადინეობა დაიწყება დილის 10 საათზე. შემდეგ გამოცხადებული იქნება მეცადინეობის საათები.

**კოწია გამსახურდიას რეფერატი.** პარასკევს, აპრილის 22-ს საღამოს 6 საათზე, ხელოვანთა სასახლეში (ხოშტარიასეული სახლი სერგეევის ქ.) **კოწია გამსახურდია** წაიკითხავს მოხსენებას: **რითმუსი ესთეტიურისა და ფსიხოლოგიური თვალსაზრისით განხილული.** მოხსენება დაიწყება სწორედ ექვს საათზე, დასწრება ყველას შეუძლია.

**ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება** აცხადებს რომ, მის მიერ, 24 აპრილიდან ვტარდება ერთ კვირული კამპანია სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიის წინააღმდეგ—მენშევიკების, დაშნაკების, მუსავატისტების, სოციალ-ფედერალისტების და სხვ. მიტინგების და ყრილობის ადგილები იქნება გამოცხადებული ცალკე.

**ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სამეურნეო განყოფილების გამგეთ დაინიშნა ს. ა. მიქელაძე.

— ჯანმრთელობის სახალხო კომისარი იწვევს ექიმებს ბორჩალოს მაზრაში, შემდეგ სოფლებისათვის: ავრამლო, გარმაზლო, არჯევანი-სარფანო, გამარეთი, სადახლო და არუხლო.

— ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი გადავიდა ქალაქის სახლიდგან სოლოლაკის ქუჩაზე № 12, ყოფილ დამზღვევ საზოგადოების „როსსია“-ს ბინაზე,

**სამაზრო სასურსათო კომისარიატი.** თბილისის სამაზრო რევკომმა დაარსა სამაზრო სასურსათო კომისარიატი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ს. ს. ჩიქოვანი და წევრები: დავით ჩხეიძე და კლიმენტი ცომაია.

**სახალხო მეურნეობის საბჭოში.** თფილისის ქალაქის თვითმართველობის ყოფილი წევრი კ. ა. ფანიევი დაინიშნა საქართველოს სახალხო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მთავარ საბჭოსთან არსებულ მომარაგების საბჭოს თავმჯდომარეთ.

— **სამრეწველო წარმოებათა აღრიცხვა.** სტატისტიკური განყოფილება შეუდგა სამრეწველო დაწესებულებათა აღრიცხვას.

ქალაქის რევკომმა წინადადება მისცა ყველა მის ხელქვეით დაწესებულებებს რათა მათ წარმოადგინონ ანგარიში თავის მოქმედების შესახებ თვეში ორჯელ.

**თესვის კომპანია.** სათესლეს მიმწოდებელმა ცენტრალურმა კომისიამ გააზავნა ქუთაისის გუბერნიაში აგრონომი ი. ანთაძე, რათა მან მოახდინოს რევიზია მაზრის თესვის კომპანიების, მოქმედების, კახეთში კი გაიგზავნა კომისიის წევრი აგრონომი ე. ნ. ნაკაშიძე.

## მივხედოთ თფილისის ელექტრონის სადგურებს.

თფილისის სხვადასხვა უბნებში 18-მდე ელქტრონის სადგური არსებობს, რომელნიც უმთავრესად განათებისათვის ხმარდება, როგორც კერძო პირების (სახლებში, დუქნებში და სხვა) აგრეთვე კერძო და სახელმწიფო დაწესებულებებს, გარდა ამისა იგივე სადგურები ემსახურებიან მრავალ წარმოებებს: სტამბებს, ხე-ტყის ქარხნებს და სხ.

დღეს ყველა ეს სადგურები საშინელ სურათს წარმოადგენენ. ვერ ნახავთ ვერც ერთ ახალს ან დაუზიანებელ მანქანას, არსად დაცული არ არის ტეხნიკური პირობები მუშების სიცოცხლის უზრუნველსაყოფად, ხოლო სისუფთავეზე ლაპარაკიც ზედმეტია: სალორეებს უფრო წააგავენ, ვიდრე ელექტრონის სადგურებს. ყველა ზემო ჩამოთვლილ ნაკლს, თავისი ისტორია აქვს. მაგ., მათი დაქსაქსვა სხვადასხვა უბნებში აიხსნება მით, რომ ელექტრონის აქ განვითარებამ, ჩვენში განსაკუთრებით 1905—6 წლებიდან ჩარჩული ხასიათი მიიღო. ყველა მესაკუთრე სცდილობდა სადგური ისეთ ადგილას აეგო, სადაც საშუალება ექნებოდა მეტი აბონენტები ეშოვნა და მეტი შემოსავალი მიეღო. ამით აიხსნება ისიც, რომ არსად ნორმალური ტეხნიკური პირობები არ არის დაცული, რის გამოც არა ერთი და ორი მუშა მსხვერპლად შეუწირავს სადგურებს. მანქანების შეკეთებას წარსულიდანვე ჯეროვანი ყურადღება არ ჰქონდა მიქცეული და ყველა პატრონი სცდილობდა რაც შეიძლება მეტი ღირებულება გამოეწურა მათგან. რა თქმა უნდა აქ სხვა მიზეზებიც იყო: ძალიან ნაკლებათ იყვნენ ამ დარგში დახელოვნებული მუშები, ტეხნიკოსები და ინჟენრები.

ყველა ამას დაერთო ომი, რომლის განმავლობაში დიდათ შეფერხდა მანქანების შეკეთება, განსაკუთრებით გამოცვლა სხვადასხვა ნაწილების, რომელნიც რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან დამზადებული შემოდიოდა. ომს დაერთო დიდი რევოლიუცია, რომელმაც უფრო გააძნელა მათი შეკეთება. მიუხედავათ იმისა რომ მენშევიკებმა მრავალი სავაჭრო ხელშეკრულება დასდვეს სხვადასხვა სახელმწიფოებთან და როგორც შინაურ აგრეთვე საზღვარ გარეთელ კაპიტალს დიდი ასპარეზი მისცეს ალებ-მიცემობაში, დღემდის არამც თუ არ შემოსულა ახალი მანქანა ჩვენში, არამედ რამოდენიმე სადგური სრულიათ განადგურდა, მათ შორის ზოგი დაიმტვრა, ზოგიც ნაწილნაწილათ იქნა დაყიდული მეპატრონეთა მიერ. ახლო მომავალში საზღვარ გარეთიდან შემოტანილ ნაწილებით მათი შეკეთება ან ახალ მანქანებით შეცვლა საეჭვოა. ზედ მეტია ოცნებაც იმაზე თითქოს დღევანდელი მესაკუთრენი ხელს შეუწყობენ ამ წარმოებას და გააჯანსაღებენ სადგურებს. პირიქით თუ შესაძლებელი გახდება შეაფერხებენ კიდეც, რათა რაიმე ზიანი მიაყენონ საბჭოთა რეჟიმს. ყოველ შემთხვევაში ისინი შეეცდებიან ამოსწურონ ყოველგვარი შესაძლებლობა მანქანების მაქსიმალური სარგებლობით გამოსაყენებლათ და საქმე დამთავრდება იმით რომ სულ ცოტა

ხნის განმავლობაში არც ერთი მათგანი არ გვექნება გამოსადეგი.

მაგალითები უკვე არის: სამი კვირის განმავლობაში დაიმტვრა ორი დაზგლის მანქანა 120—80 ძალიანი ერთი დიდუბეში, მეორე მადათოვზე და არავითარი გარანტია არ არის, რომ ხვალ იგივე არ განმეორდება სადმე სხვაგან.

9-14 აპრილის მელითონეთა კონფერენციაზე, რომელ კავშირშიაც შედიან აგრეთვე ელექტრონზე მომუშავენიც. მოსმენილი იქნა ამხ. ბუაძის ვრცელი მოხსენება ელექტრონის სადგურების მდგომარეობის შესახებ.

ამ მოხსენების შემდეგაც კონფერენციამ გადასწყვიტა მიმართოს სადაც ჯერ არს, მოახდინონ ყველა კერძო სადგურების ნაციონალიზაცია, ურომლისოდ მათი გადარჩენა შეუძლებელია და სულ ახლო მომავალში შეიძლება თბილისი დარჩეს სიბნელეში. აი ის გზა და ის გამოძახილი მუშების, რომელმაც ყურადღება უნდა მიიპყროს ვისაც ჯერ არს რომ დროზე მოგვარდეს ეს საქმე, სანამ კიდევ გვიან არ არის.

პროფესიონალურმა კავშირმა ამ მდგომარეობას დროზე მიაქცია ყურადღება და შესაფერისი ნაბიჯიც გადადგა. შედგენილ იქნა კოლეგია ერთი ინჟენერი და ორ მუშისაგან ყველა სადგურების მოსავლელათ. თბილისის რევკომმა დაამტკიცა კოლეგია, მაგრამ საქმეს არავითარი შედეგი და გამოსწორება არ დაეტყო, რატომ? მიტომ, რომ მრავალი კითხვა დარჩა გამოსარკვევი: დამოკიდებულება არსებულ მესაკუთრებთან და კოლეგიის შორის, საკითხი შესაკეთებელი მასალების შესახებ, მათი ხარჯი და სხვა და სხვა, რაიც საშვალებას არ აძლევს კოლეგიას ფართედ მოჰკიდოს ხელი ამ საქმეს და გადაარჩინოს ის მაინც რისი გადარჩენაც კიდევ შესაძლებელია.

მრავალი მანქანა თხოულობს დღესვე შეჩერებას, წინაამდეგ შემთხვევაში მოელით ის რაც დაემართა უკვე ორ მანქანას. მრავალი გაჩერებული მანქანები არსებობს თბილისში, აგრეთვე ოთქლის მანქანებიც, რომლების გამოყენებაც შეიძლება ადრე შეკეთდებიან.

დახელოვნებული მუშები და ინჟენერები მრავალნი არიან იმავე სადგურებში, საჭიროა მხოლოთ მტკიცე ნაბიჯის გადადგმა, საჭიროა სახელმწიფოს ჩარევა და დახმარება. მხოლოთ ამ გზით შეიძლება ამ წარმოებას გადარჩენა. მუშების მდგომარეობის შესახებ ამ სადგურებში, შემდეგ წერილში ვილაპარაკებ.

მუშა ოკინ.

# მკითხველის წერილები

**ყურადღება უნდა მიექცეს.**

ძველი ბიუროკრატიული მენშევიკური მთავრობის ყველა აპარატები იმიტომ უფრო გაიხრწნა, რომ ნიკოლოზის ჩინოვნიკური სულით იყვნენ გაჟღენთილი. ხალხი ვერასოდეს ახავალ-დასავალს ვერ უგებდა ამ მიყვალ დაწესებულებებს და წყევა-კრულვით კვლავ უკან ბრუნდებოდა ხელ ცარიელი. მენშევიკებმა ამ სამი წლის განმავლობაში სავსებით შეითვისეს ჟანდარმული სულის კვეთება და, ისე, როგორც ერთხელ მას ქმსა შინან მათაც მშრომელ ხალხს სავსებით თავი შეაძულეს. ბიუროკრატები მოიპოვებიან დღესაც ჩვენს დაწესებულებებში.

ეჭვს გარეშეა, ასეთი „მოხელეები" ჩვენ არ გამოგვადგებიან. მართლაც, უმეტეს ჩვენ სახელმწიფო დაწესებულებებში, სადაც ძველი ჭაჭაპატონები დარჩნენ, თითქმის არაფერი არ კეთდება. ვერც ერთ კითხვაზე პასუხს ვერ მიიღებთ გარკვეულათ; ვერც ერთ ქაღალდს, რამდენიც უნდა ეძებოთ, ვერ იპოვით: ან დაიკარგა, ან ისეთ ადგილას მიაგდეს, რომ დიოგენის სანათითაც ვერ იპოვით. კანცელარიები, კანტორები გავსებულია ეგრეთ წოდებული მოსამსახურეებით. თუ როგორმე რიგს მორჩი და მაღლწიე ვისთანაც საქმე გაქვს, იქიდან გამოსვლას ველარ მოესწრები, რადგანაც ან პასუხს ვერ მიიღებ, ან სანამდე შენ გაგისტუმრებდეს, ათასგვარი წერილებით ვიღაც ნათლი-ბიცოლებს მიიღებს, მათ გაისტუმრებს, შენ კი ან ზიხარ მის მაგიდის წინ და სტკბები სმენით და ცქერით, ან და, უფრო ხშირათ, დგეხარ ფეხზე, სანამ არ მოგბეზრდება და არ გაბრძანდები.

ასეთი შემთხვევები ძალიან ხშირია. შეიძლება ჯერ კიდევ ჩვენი აპარატები კარგათ მოწყობილი არ არის, ახალი საქმეა, როგორც ხშირად ისმის, მაგრამ ამ ნაცნობებისათვის რომ ყველაფერი რიგზე კეთდება? მათ არც ქაღალდები ეკარგებათ, პასუხსაც დროზე ღებულობენ და საქმესაც. რა ჰქვია ამას? იგივე ბიუროკრატიზმი. მოუხერხებელია ძველ გუდაში ახალი ღვინის ჩაყენება, უთუოდ ღვინოს გააფუჭებს. ყველა დაწესებულებებში ამხ. კომუნისტები თითზე ჩამოსათვლელი არიან. ასე შეიძლება ერთი გამოვიდეს, დიდი უმრავლესობა ეგრედ წოდებული „საბჭოთა" ახალ მოდის ინტელიგენცია ბრძანდება. სიტყვით, რა თქმა უნდა, სოციალისტურ-კომუნისტურ აღმშენებლობის საქმეს აკეთებს. საქმით კი ნაჩვევ ნათლიმამობას ეწევიან. ეს არ შეიძლება. ამას ეხლავე ყურადღება უნდა მიექცეს. ყოველგვარი სიბინძურე თავშივე უნდა იქნას მოკლული. მუშათა კლასმა იცის მოთმინება. ის თვითეულ მის მტერსა და მოყვარეს საქმეზე სცნობს და არა სიტყვების რახარუხზე. მშრომელი ინტელიგენცია თუ არის, მართლაც მშრომელი უნდა იყოს. მან კარგათ უნდა იცოდეს დროის და ვითარების გარკვევა და სინდისიერათ საქმეს ემსახუროს. ჯერ გაფრთხილება და შემდეგ,—თუ თავისი არ მოიშალეს,—გაწმენდა...

ვისაც აქვს ყურები სმენად, ისმინონ.

გ. მჟავანაძე.

# პარტიული ცხოვრება

აგიტ-საპროპაგანდო განყოფილება.

განყოფილებამ მიმართა სასურსათო კომიტეტებს წინადადებით საჩქაროთ აცნობონ მას: 1) მოწყობილია თუ არა გუბერნიასა და მაზრებში საგიტ-საპროპაგანდო განყოფილებანი, 2) ადგილობრივ საკმარისათ არიან თუ არა მუშაკები, 3) თუ არა, რა არის გაკეთებული მუშაკების მომზადებისა და მიზიდვისათვის, 4) ეწყობა თუ არა საბჭო—პარტიული სასწავლებლები, 5) არის თუ არა პარტიული ლიტერატურა, 6) არსებობს თუ არა გამომცემლობა (გაზეთი ბროშურა), 7) არის თუ არა ცოცხალი კავშირი მცხოვრებლებთან, და 8) ტარდება თუ არა პოლიტიკური საწარმოვო კამპანიები და თუ ტარდება რა სახით.

# პროფესიონალურ კავშირებში

28 მარტს შესდგა საზოგადო კრება უმ. სამ. საბჭოს ყველა განყოფილების თანამშრომელთა. ამხ. მჟავანაძემ ილაპარაკა იმ საწარმოო პრინციპების შესახებ, რომლის მიხედვით უნდა მოეწყოს ყოფილი პროფესიონალური კავშირები.

მუშათა კომიტეტის არჩევის დროს შემოვიდა კოლექტიური სია, რომელიც ხმის უმეტესობით დადასტურებული იქმნა. კომიტეტში არჩეული არიან ამხ. ხოჭოლავა, არეშიძე, კაკურია, ზარგარიანის ასული, კატანიანი, და ზარაპოვი. თანაც კომიტეტს მიეცა ნება მოიწვიოს 4 წარმომადგენელი იმ დაწესებულებებიდან, რომლებსაც არჩევნებში სხვა და სხვა მიზეზებით მონაწილეობა არ მიუღიათ. იმავე დღეს შესდგა სხდომა კომიტეტისა, რომელმაც თავის წრიდგან გამოყო რამოდენიმე კომისია სასადილოს, საპარიკმახეროს, სამკერვალოს და სხვათა მოსაწყობად თანამშრომლებთა საჭიროებისათვის.

აგრეთვე ზომები იქმნა მიღებული ყოფილ ქალ. კავ. კოოპერატივის გასაფართოებლად, რომ ყველა თანამშრომელს შეძლება მიეცეს იმით ისარგებლოს.

მდივანი

—

ოქმი.

**საბჭოთა მოსამსახურეების დელეგატთა ყრილობის, რომელიც შესდგა ა. წ. 10 აპრილს.**

კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ამხ. იობიძე, თავმჯდომარის ამხ. შარიკიანი, მდივნებათ: გოდაბრელიძე და ედელსონი.

დღიური წესრიგი:

1. სამანდატო კომისიის მოხსენება.
2. მიმდინარე მომენტი და პროფკავშირების მიზანი.
3. საორგანიზაციო ბიუროს მოხსენება, საბჭოთა მოსამსახურების კავშირის მოწყობის შესახებ.
4. გამგეობის კონსტრუქცია.
5. არჩევნები გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა.
6. მიმდინარე საქმეები.

1) სამანდატო კომისიის მოხსენება, რომ კრებაზე მიიღოს მონაწილეობა ვაჭრობა მრეწველობის მოხელეთა კავშირიდან 33 დელეგატმა. 2) დაბალ სახელმწიფო მოსამსახურეთა კავშ.—7. 3) საკრედ. დაწესებ.—13. 4) სოვნარხოზიდან—7. 5) სობეზიდან—5. 6) პროფ. კავშ. აღმასრ. კომიტეტ.—3. 7) სახალხო სასურსათო კომისარიატიდან—3. 8) უფროს სახ. მოსამსახ. კავშ.—24. 9) სამაზრო რევ. კომიტეტ.—4. 10) მილიც.—2. 11) საგარეო ვაჭრ.—3. 12) ქალაქის სასურსათო კომიტეტ.—7. 13) ქალაქის რევოლ. კომ.—3 და 14) საქართველოს რევოლ. კომიტეტისაგან—1.

სახელმწიფო უფროს მოხელეთა წარმომადგენელის ლვამიჩავას პროტესტი, შესახებ იმისა, რომ იმათ ყავდათ წევრები არა 1500, არამედ 1800, და რომ სამანდატო კომისიამ მიიღო 1800, ეხლა კი ადასტურებს 1500.

მიღებულ იქმნა სამანდატო კომისიის განმარტება.

მიმდინარე მომენტი და პროფკავშირების მიზანის შესახებ მოხსენებას აკეთებს კურულაშვილი.

მოხდა გადატრიალება, საქართველოში საბჭოთა ძალა უფლებაა. გარედან საფრთხე არ არის, მაგრამ, ანტანტას, რასაკვირველია არ ძინავს. ამას ამტკიცებს რუსეთის ამ წლის გამოცდილება. ამისათვის ჩვენ უნდა ვიყოთ ფრთხილად, ჯერჯერობით კი ჩვენს გარშემო მშვიდობიანობაა. ჩვენს მეზობლათ არიან ჩვენი მოძმე ს. საბჭოთა რესპუბლიკები. დადგა ფრიად სერიოზული ხანა. შრომის ფრონტზე საჭიროა ამ ახალ აღორძინებულ კავშირის საშუალებით ებრძოლოთ იმ საბოტაჟს, რომელიც სუფევს დაწესებულებებში. ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკის ბედი დამოკიდებულია საერთაშორისო რევოლიუციასთან. საბჭოთა დაწესებულებებს შეუძლიათ გახდენ ამ ტორმაზათ და ან რევოლიუციის ხელშემწყობლებლად. რუსეთში ბევრი % იყო საბოტაჟისა და ამ თ ისინი გარეგან კონტრ რევოლიუციას ეხმარებოდენ. ჩვენი საქმის გამოკეთება შრომის ნაყოფიერების აწევაში. კავშირები—უმთავრესი ნერვია საბჭოთა სახელმწიფოსი. არავითარი საბოტაჟი. აღმშენებლობითი მ ხანი. დანგრევის ხანა გათავდა. საცა არ გათავებულა, იქ გავათავებთ. ყველაფერში უნდა დაგვეხმაროს კავშირები. კავშირების გადაქმნა არ არის ფანტაზია, ბოლო უნდა მოუღოთ მეშჩანურ ფსიხოლოგიას. დაწესებულებებში ერთნაირად საჭიროა როგორც დარაჯები, ისე გამგეები. დაყოფა უნდა მოისპოს. მხოლოდ წარმოებითი პრინციპს შეუძლია უზრუნველყოს მუშათა კლასის მოპოვებანი. თქვენი კავშირი იქნება ყველაზე უფრო დიდი. მაგალითად, სასურსათო ორგანოებში შეუჩნებელ მუშაობას და საბოტაჟს შეუძლია გააჩიროს ქარხნები, მაშინ ჩვენ ვიხელმძღვანელებთ რუსეთის გამოცდილებით და დაწესებულებებში შევიყვანთ მუშებს ხელმძღვანელებათ იმ პირებზე, რომელნიც ხელს შეუშლიან ნორმალურ მუშაობას.

საბჭოთა, საზოგადო და სავაჭრო დაწესებულებების დელეგატების ყრილობამ მოისმინა რა კურულოვის მოხსენება მიმდინარე მომენტზე და პროფ. კავშირების მიზანზე, ესალმება საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ მთავრობას და უგზავნის ძმურ კომუნისტურ სალამს სუყველა საბჭოთა რესპუბლიკებს, რუსეთის წითელ ჯარს, რომელიც არის სუყველა დაჩაგრულთა და მშრომელთა დამცველი, რომელიც იცავს ყველა ერებს, რომელნიც შედიან მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალში. საქართველოს რევოლიუცია დამოკიდებულია საერთაშორისო რევოლიუციასთან და რაც ჩქარა გაღრმავდება რევოლიუცია სხვა და სხვა სახელმწიფოებში, მით უფრო მტკიცე იქნება იგი საქართველოში. ჩვენ საბჭოთა მომუშავენი საქართველოს პროლეტარიატის ერთი ნაწილი, მჭიდროთ უნდა შევკავშირდეთ მძლავრ ორგანიზაციის წარმოებათა კავშირის გარშემო. მთელი ჩვენი მუშაობა მიმართული უნდა იყოს ქვეყნის კომუნალურ საფუძველზე მოწყობისაკენ. უნდა მოვსპოთ და მოვიშოროთ ყველა ის რაც ხელს შეუშლის საბჭოთა ძალა უფლებას და მიმართული იქნება მუშათა კლასის დაჩაგვრაზე. გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას. გაუმარჯოს საბჭოთა ძალა უფლებას საქართველოში და წითელ პროფკავშირებს.

**საორგანიზაციო ბიუროს მოხსენება**

ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ზოგიერთ კავშირების შეერთება დაიწყო ძირიდან და არა ზევიდან, ამას მოითხოვდა რევოლიუციის ინტერესები. საორგანიზაციო ბიუროში პირველად შემოდიოდენ სავაჭრო და საკრედიტო დაწესებულებების წარმომადგენლები, შემდეგ შემოგვიერთდენ სხვებიც. ჯერ ამ კავშირს ერქმევა საბჭოთა, სავაჭრო და საკრედიტო დაწესებულებათა მოსამსახურეთა კავშირი, შემდეგ „საბჭოთა მომუშავენი". საერთო კრების მოწყობა შეუძლებელი იყო. გამგეობამ უნდა გააგრძელოს საორგანიზაციო მუშაობა. ამისათვის ის უნდა იყოს დროებითი უნდა ამუშავდენ შეჩერებული კავშირები. სადელეგატო ყრილობა თუმცა სწორი არ არის, მაგრამ აქ ყველა დაწესებულებების წარმომადგენლები არიან. ახალი დაწესებულებები შემოდიან თავის ადგილობრივ კომიტეტებით, ჩვენ არ უნდა დაუჩქაროთ შეერთებას დაუყონებლივ. გამგეობა გამოიმუშავებს პრინციპებს და გაატარებს ცხოვრებაში. ჩვენ ვუდევთ საფუძველს პროფესიონალურ კავშირის ახალ ცხოვრებას და ჩვენი საზღვარ გარეთელ ამხანაგებთან კავშირის დაჭერას. ჩვენ უნდა დაუკავშირდეთ ჩვენ გვარ კავშირებს სუყველა საბჭოთა რესპუბლიკებში.

დაწესებულებებში მოსამსახურენი ეწევიან საბოტაჟს, გაძლევთ წინადადებას კავშირის მომავალ გამგეობას მიიღოს ზომები მათს საწინაამდეგოთ.

დელეგატთა ყრილობამ მოისმინა რა საორგანიზაციო ბიუროს მოხსენება საბჭოთა მოსამსახურეების კავშირის შექმნის შესახებ, იწონებს მის მუშაობის გეგმას, სთვლის მას ერთად ერთ პრაქტიკულ და მოსაზრებულ საშუალებას შეერთებისათვის, რადგანაც საორგანიზაციო მუშაობა ჯერ არ დამთავრებულა, ყრილობა სთვლის სწორად ამოირჩიოს დროებითი გამგეობა, მიეცეს წინადადება დროებითი გამგეობას, მოაწყოს სუყველა დაწესებულებებში ადგილობრივი კომიტეტები და რაც შეიძლება მოკლე ხანში მოიწვიოს სადელეგატო ყრილობა მუდმივი გამგეობის ამოსარჩევად.

გაეგზავნოს მილოცვა საბჭოთა მოსამსახურეთა კავშირს აძერბაიჯანში, სომხეთში და რუსეთში.

გამგეობის კონსტრუქცია.

შარიკიანის წინადადებაა ამოირჩიოს გამგეობაში 21 კაცი.

1. სავაჭ დაწ.—200 წევრი 6 კ.
2. სახელმ. მოსამ უფრ.—1500—4 კ.
3. „ „უმც.—625—4 კ.
4. საკრედიტო დაწეს. 455—2 კ.
5. ადგილობრ. კომიტეტი 7 კ. და 5 კანდიდატი.

სარევიზიო კომისიაში 3 წევრი და 2 კანდიდატი.

ყრილობამ მიიღო შარიკიანის წინადადება.

გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ამორჩევა.

გამგეობაში ამორჩეული იქმნენ:

1, იობიძე, 2) კორძაია, 3) გოდაბრელიძე, 4) არეშიძე, 5) კოზლოვსკი, 6) შარიკიანი, 7) ბელეცკი, 8) ტეტიუცკაია, 9) შომახია, 10) მოვშენზონ, 11) ედელსონი, 12) სამუილიანი, 13) ლვამიჩავა, 14) ირიცპეხოვი, 15) ზამოლოტოვი, 16) როხლინი, 17) სანტურიანი, 17) მარკოსოვი, 19) მიქაბაძე, 20) ჯორბენაძე, 21) ხუნდაძე.

კანდიდატები: 1) თალაკვაძე, 2) მეგრელიძე, 3) ვოლკოვი, 4) საქარიანი, 5 ბარკაია.

სარევიზიო კომისია: 1) ბერძნიშვილი, 2) ზარაბოვი, 3) მხეიძე, კანდიდატები: გულასარიანი და სპექტორი.

თავმჯდომარე იობიძე, მდივანი გოდაბრელიძე.

# პროვინციაში

ხაშური.

ძველ არა ლეგალურ პირობებშიც კი როდესაც კომუნისტური ორგანიზაციები სუსტი იყო მაშინ ხაშურის ორგანიზაცია ითვლებოდა ერთ ერთ საუკეთესო ორგანიზაციათ მთელ საქართველოში. მასში ყოველთვის ერთიანდებოდა უღარიბესი გლეხი და პროლეტარიატი, და ამიტომაც ხაშურის ორგანიზაცია საუკეთესოთ მომზადებული შეხვდა წითელი არმიის შემოსვლას. ნიადაგი ამისთვის წინდაწინვე მზა იყო. დღევანდელი ჩვენი მუშაობა მიმართული არის ძველი ორგანიზაციების აღდგენაზე, მის არა სასურველ ელემენტებიდან გაწმენდაზე. ხაშურის რაიონში რომელიც აერთიანებს დაახლოვებით ოცდა ათ სოფელს, ხაზ გასმით შეიძლება აღინიშნოს, რომ პარტიული მუშაობა სდგას თავის სიმაღლეზე. რევკომების ორგანიზაციის მოწყობა, რომელსაც უმთავრესი ყურადღება ქონდა მიქცეული, ჩვენ მიერ უკვე დამთავრებულია. ამ მხრივ შეიძლება იყო დეფექტები მაგრამ გამოსწორებაც სჩანს შეიძლება. დღეს ამ რაიონში არც ერთი სოფელი არ მოიპოვება ისეთი რომ იქ ჩვენი ორგანიზაცია არ იყოს მოწყობილი.

ხშირათ იმართება პარტიული კრებები, რომელზედაც ირჩევა ძლიერ საჭირბოროტო კითხვები. გარდა იმისა რომ ჩვენ ვაწყობდით პარტიულ ორგანიზაციებს და რევკომებს, ამასთანავე ერთათ ჩვენ მიერ დიდი ყურადღება ქონდა მიქცეული კულტურულ-განმანათლებელ მუშაობასაც. ამ მხრივ პარტიულ-ორგანიზაციას დიდი ენერგიის დახარჯვა დასჭირდა იმიტომ რომ მთელი სასწავლებლების, თეატრების და სხვა კულტურული დაწესებულებების მუშაობა მოშლილი იყო. ამიტომ რაიკომის ნაბიჯი იყო კულტ.-განმანათლების ორგანოს შექმნა რაც უკვე ფაქტია და მუშაობა მიმდინარეობს კარგათ. აღდგა ყველა სასწავლებლები, იმართება სპექტაკლები და მიტინგები რეგულიარულათ. სულიერი განწყობილება გლეხების კარგია, უკმაყოფილოს ვერ შეხვდებით და ამიტომაც ორგანიზაციას ბევრი ახალი წევრები აწყდება, იმართება გლეხთა მიტინგები პარტიის ინიციატივით, სადაც გამოაქვთ მისასალმებელი რეზოლიუციები. ერთი რამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, სახელდობრ ის, რომ ემჩნევა კულტურულ ძალთა ნაკლებობა, რასაც ცენტრმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს. ჩვენი ორგანიზაციის გაძლიერებას აქაური მენშევიკები ძლიერ ეჭვის თვალით უყურებენ, [illegible] რამ ასეთები ძლიერ ცოტანი არიან და თუ არიან მას მშრომელი [illegible] ლესობა ზიზღის თვალით შეჰყურებს. ნაკლებობა ემჩნევა სურსათს. აგრარული რეფორმა ტარდება ცხოვრებაში. ის არ იწვევს არავითარ საგრძნობ უკმაყოფილებას.

გლეხები თვით ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას მის გატარებაში. რევკომის მუშაობასაც არა უშავს. მან უკვე შექმნა ყველა საჭირო დაწესებულებები.

ხაშურელი მოხიკო.

—

**კოხნარა** (გურია). 10 აპრილს მოხდა კოხნარის თემის მცხოვრებთა კრებ, ადგილობრივ რევკომის ხელმძღვანელობით. კრებას დაესწრო 400-მდე მოქალაქე. კრებამ გაარჩია რამოდენიმე კითხვები, რის შემდეგ კრებას ადგილობრივი რევკომის თავმჯდომარე თავისი ამხანაგით აცნობს ხალხს დღევანდელ მომენტს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში და მთავრობის შემადგენლობას და მათ მომავალ მუშაობას. ამის შემდეგ კრება სალამს უძღვნის საქართველოს სოციალ. რესპუბლიკის რევკომის ხელმძღვანელთ და მათ თავმჯდომარეს, რომელნიც იღწვიან მუშების და გლეხების საკეთილდღეოთ.

მოსე ძნელაძე.

# ფოსტა

**საქართველოს კომ. პარტიის თბილისის კომიტეტს, მის სარაიონო ბიუროებს** რეგულიარულათ მოგვაწოდეთ ცნობები პარტიული მუშაობის შესახებ.

**საქართვ. კომპარტიის ორგანიზაციებს პროვინციაში.** მოგვაწოდეთ შეძლებისა დაგვარათ რეგულიარულათ ცნობები პარტიულ მუშაობის შესახებ და კორესპონდენციები პროვინციის ცხოვრებიდან.

**პროფესიონალურ კავშირებს.** მოგვაწოდეთ რეგულიარულათ ცნობები პროფესიონალურ ცხოვრების შესახებ.

— **საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი** მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— **საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი**—რუსთაველის პრ., 22. ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი". ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო— ავლაბარი, კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4 ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52.

მე-5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— **საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა**—რუსთაველის პრ. 22.

**სარედაქციო კოლეგია.**

# განცხადებანი

**სხვა და სხვა.**

თანამშრომელი რწმუნებულ ჩემდამი რაზმის უფროსთა შემადგენლობისა გრძელიშვილი იაკობი ალექსანდრეს ძე მენშევიკების ჯარის ყოფილი აფიცერი თავის ნებით გაიქცა რაზმიდან. ვინც იციან მის ბინადრობა დაუყონებლივ გვაცნობონ რაზმის შტაბში, საპიორის ქუჩა № 21. ანდა მახლობელ კომისარიატებში, მისი დასაჭერათ და გადასაგზავნათ რაზმის შტაბში.

**რაზმის უფროსი და სამხედრო კომისარი ი. ბრეგვაძე.**

ადიუტანტი ცხოვრებაშვილი.

# კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტი

ყველა ამხანაგებს, რომელთაც შეუძლიათ მიტინგზე და კრებებზე გამოსვლა, ლექციების კითხვა და მოხსენებების გაკეთება პარტიული დისციპლინის ძალით, წინადადებას აძლევს ჩაეწერონ სამი დღის განმავლობაში თ. კ. საგიტაციო განყოფილებაში, რათა მომზადებული ამხანაგების ძალები წესიერათ იყოს განაწილებული და პარტიისთვის გამოყენებული.

**თ. კ. მდივანი ლაზარე კანდელაკი.**

**საგიტ. გან. გამგე ოვანესიან.**

# დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა

ამა წლის 23 აპრილს ნაშუადღევის 3 საათისათვის კავშირის ბინაზე (პლეხანოვის პროსპ. № 139) იწვევს კავშირის წევრთა საერთო კრებას. განსახილველია შემდეგი საკითხები:

1) ძველი გამგეობის მოხსენება.
2) დროებითი გამგეობის მოხსენება
3) სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4) კავშირის რეორგანიზაციის შესახებ.
5) წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლა.
6) გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
7) საკითხი დაჭრილ-დასახიჩრებულთა მზრუნველობის შესახებ.
8) მიმდინარე საკითხები.

პროვინციიდან ჩამოსულთ მიეცემა ბინა, სადილი და უკან დასაბრუნებელი გზის ფული. დასწრება კავშირის ყველა წევრისთვის სავალდებულოა.

**კავშირის გამგეობა.**

# ორგანიზაც. და დაწესებულებების საყურადღებოთ

ცხადდება, რომ გაზ. „კომუნისტში" დასაბეჭდი განცხადებები და ანგარიშები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე; სხვა ენაზე დაწერილი მასალა არ მიიღება